

1906 წ.

4 დეკემბერი

ახალი დროება

ორშაბათი

№ 4

ყოველკვირეული გაზეთი

№ 4

რედაქციის ადრესი:

თბილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. № 102.
რედაქციის მისამართი შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე.
კანტორა ხელის-მოწერათვის დღეა ყოველ დღე დილის 9 საათი-დან 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დღე.
განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე პეტრიტი—15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ.

შინაარსი.

1. უმუშევრობა და უმუშევარი.—2. საფაბრიკო კანონმდებლობა და პროლეტარული ბრძოლა.—3. კვირიდან კვირამდე.—4. ფელეტონი. მუშათა აზრები.—5. მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები. I. თბილისი, II. კავკასია, III. რუსეთი.—6. საზღვარ-გარეთი.—7. რა არის უმუშევრობა.—8. შრომის ბირჟა და ქალაქის თვითმმართველობა.—9. შემოწირულება.—10. სიტყვების ახსნა.

ხელის მოძვერთა საეურადღებოთ.

ვისაც დეკემბრის ფული არ შემოუტანია, მას მესუთე ნომერი არ გაეგზავნება.

ყოველკვირეული გაზეთი

„ახალი დროება“

გამოვა ორშაბათობით.

გაზეთის ფასი ხელის-მოწერათვის:

თბილისში: ერთი წლით	5 მანეთი,	
„ ნახევარი წლით	2 „	50 კაპ.
„ სამი თვით	1 „	25 „
„ ერთი თვით	—	40 „
თბილისს გარეთ:		
„ წლით	6 მან.	
„ ნახევარი წლით	3 „	
„ სამი თვით	1 „	50 კაპ.
„ ერთი თვით	—	50 „
სასაზღვარ გარეთ:		
„ ერთი წლით	8 მან.	
„ ნახევარი წლით	4 „	
„ სამი თვით	2 „	
„ ერთი თვით	—	80 კაპ.

დააკე ნომერი ღირს ორი შური.

შიილება ხელის მოწერა პროვინციებში, შემდეგ პირებთან:

- ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძესთან.
- ბათუმში—მიხაილ კალანდაძესთან.
- ბაქოში—პაულე ჯალალისთან.
- ხონში—წიგნის მალაზია „რუსთაველში“
- ფოთში—ლაფრენტი ტულუშთან.
- ხაშურში—ვენანტე შარაძესთან,
- ჩხატაურში—კოტე მალარაძესთან.
- გორში—არჩაძის წიგნის მალაზიაში.
- ოზურგეთში—წიგნის მალ. „იმედ“ში.
- ქანჩხეთში—შალიკო ცინცაძის წიგნის მალაზიაში.
- ჭიათურაში—ვლადიმერ მოსეშვილთან.
- თბილისში—1. წ. მალაზ. „სოციალ“, სოსიკო მერკვი-ლაძესთან. 2. სასტუმრო „იალტაში“, ვასილ კერესელიძესთან, 3. გოლოვინსკი პროსპექტზე—წიგნ. მალ. „ნოვია რეკ“ში. 4. მიხაილოვის ქუჩაზე—წიგნ. მალაზ. „ობრაზოვანიე“ში. 5. კირონი ქუჩაზე—ვასილ გადილიას წიგნის მალაზიაში.

უპოვებრობა და უმუშევარი.

როგორც პირველ წერილში (ნახე „ახალი დროება“, № 3) გავიცანით, საკითხი უმუშევრობაზე და უმუშევრებზე დღეს ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისათვის საერთო, საყოველთაო საკითხად გამხდარა. ვერც ამერიკა-ინგლისის თავის მაღალ-განვითარებულ მრეწველობით და კულტურით, მიუხედავად მათი ფედერატიული-ავტონომიურ წესწყობილები-სა, და ვერც „ბარბაროსულ“, უკან-ჩამორჩენილ რუსეთს ვერ შეუჩერებიათ უმუშევართა რიცხვის გაზარდება, უმუშევრობის ოდნავი შესუსტება. ესევე ითქმის სხვა დანარჩენ სახელმწიფოებზედაც. რატომ? რისთვის? ნუთუ მთავრობა, რომელთა ხელში მოგროვილია ძალა და ავლა-დიდება მთელი ქვეყნიერებისა, არ შეუძლიათ მოსპონ ეს ვეება „მუშუკი“ თავის „სხეულზე“? არა, არ შეუძლიათ;—ვერა, ვერ შეიძლე-ბენ, — იმიტომ რომ არ ინდომებენ და ვერც მოინდომებენ. არ ინდომებენ ამ „მუშუკის“, როგორც ბევრ სხვაგვარ სო-ციალურ „მუშუკების“, მოსპობას ჩვენი ბატონები, იმიტომ რომ უკანასკნელ ვაღამდე არ იგონებენ მისგან არც ტკი-ვილს, არც წუხილს და არც სხვაფერ ტანჯვა-ვაგებას. უკანა-სკნელ ეამს-კი მათი ნება არ იქნება არც დარჩენა და არც „მორჩენა“ სოციალური „სხეულისა“. განემარტოთ ორიოდ სიტყვით,—რაშია საქმე.

საქმე იმაშია, რომ სოციალური „მუშუკი“ სხვაა და ჩვეულებრივი მუშუკი პიროვნების ხორცზე სულ სხვაა—„შუა-ზე უზის ღიდი ზღვარი“. ესენი ღიდათ განირჩევიან ერთმანეთისაგან ისე, როგორც სხეული თითოეულ მცენარისა, ცხოველისა და ადამიანისა ღიდათ განირჩევა სოციალური -სხეულისაგან“. მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ სხეულში ან თუ ისე სრული პარმონიაა, ესე იგი სრული თანაბრობა, თანასწორობა, მის ნაწილებ შორის მათი ზრდა-განვითარებაში, მათი კვება-საზრდობაში,—სულ სხვაა „სოციალურ სხეულ-ში“; ეს ხომ თანამედროვე ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური საზოგადოებაა, სახელმწიფოა მდიდრების და ბატონების! აქ რა უნდა პარმონიას, სიმწყობრეს, თანხმობას, თანაგრძნობას! აქ დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის, გაყველფე-ლთა და გამყველფელთა შორის მუდმივი ომი, ომი ჩემი, წყნარი, ომი აშკარა, მქუხარე; აქ ძალა მფუბზს, ძალა ღიდი ბატონების, ძალა მათი კანონების, მათი სურვილების, მათი მალისი..

თუ მუშუკი, ან სხვა რამ სენი მცენარეს თუ სხვა ორ-

14/96

ვანიზმს (სხეულს) აკნობს, „ლევს“, ანადგურებს, თუნდაც ის ერთ რომელიმე მის ნაწილში (ორგანოში) იყოს მოდებელი, -სოციალური „მუწუკი“, როგორც, მაგალითად, საყოველთაო უმუშევრობა, უმუშევარი, „სოციალურ სხეულს“, პირ-იქით აყვავებს, ამდიდრებს,—დრომდე, რასაკვირველია; ამდიდრებს იმიტომ, რომ ღღეს, როგორც წარსულში, საზოგადოების სხვა-და-სხვა ნაწილთა, მეტადრე ორ დიდ კლასთა, კაპიტალისტებისა და პროლეტარიატის შორის გაუვლი ზღვარია, ისტორიის-მიერ ამოთხრილი ორმო, რომელიც თანდათან-კი არ ვიწროვდება, რომ ხიდის მხზე გადება, შერიგება შრომა და კაპიტალს შუა შეიძლებაოდეს, როგორც გონიათ ზოგიერთ ცალ მეგობრებს უმუშაო კლასისა, —პირ-იქით, ეს ორმო სულ ღრმავდება და ფართოვდება. აბა, რა ხიდი ვაიდება, ერთი ვიცითხოთ, კაპიტალისტ სარაჯევსა, მანათაშევსა, როტშილდსა, მორაზოვისა და სხვა მავარ დიდ და პატარა ბოზოლებსა და მათ შუშებს შორის?! რაა მათ შორის საერთო?! განა უფრო მოგებულათ არ თვლიან ისინი თავს, როცა აუარებელი მუშა ხალხი აწყდება მათ ქარხანა-ფაბრიკებს, რომ უფრო მორჩილი და ნაკლებ ხელფასიანები აირჩიონ და დანარჩენთ ქვა თავზე უტეხიათ, —იწანწალოთ ქუჩა-ქუჩა მშიერი-მწყურვანი!.. განა მუწუკათ, სწეულებათ მიანნათ ბაუნ ხაზინებს უმუშევრობა, უმუშევრები, ან პროსტიტუცია, პროსტიტუცები, როდესაც ისინი ამით თავიანთ კაპიტალს ზრდიან და „ცივილიზაციას“ განათლებას და უმაღლეს კულტურას თავიანთ სასარგებლოთ ავითარებენ?! ვიყები ხომ არ არიან, იმაზე იფიქრონ და იზრუნონ, რომ მოისპოს წყარო მათი გამდიდრებისა, მათი განდიდებისა და მათი განათლებისა!.. რაც ხალხისათვის, მშრომელ ხალხისათვის, პროლეტარიატისათვის მუწუკი არა, უარესიცაა, მათთვის ღებნაა, დაუღვევლი წყაროა ძლიერების... განა სათადარიგო ჯარი უმუშევართა ისე საქირო არ არის სამრეწველო წარმოების სამეფოში, როგორც მთავრობისათვის ჩვეულებრივ ომიანობაში გარეშე მტერთან: სათადარიგო ჯარი სალდათებისა! აქაც ხომ ომიანობაა, აქაც ხომ ხოცვა-ჟლეტაა, ხოცვა-ჟლეტა დიდ და პატარა კაპიტალისტებს შუა ბაზარზე, ხოცვა-ჟლეტა ყველა ხაზინებისაგან ყველა დაქირავებულების... მართალია, აქ თითქმის სისხლი ისე ხშირათ არ იღვრება, ბრძოლის ველი „მშოვრებით“ მოფენილი არ არის; მარა, ყოველ-დღე მცირე საფასით და გრძელი სამუშაო დღით მუშების ყვლეფა და დაუძლურება, სიკოცხლის შემოკლება, —უმუშევართა უღომბელი შიმშილით სიკვდილი, რასაც ყოველ დღე ვაზეთებში ამოვიციხავთ, —იგივე ხოცვა-ჟლეტა, სისხლის-ღვრა არ არის?! ეს უკანასკნელიც არ ახალია—ძველია, ესე იგი, ნამდვილი სისხლის ღვრა, მთავრობის ჯარების შემწეობით. ამერიკამ ერთ დროს ცოტა დახოცა-დახვრტა, ვინც გაბედა პირველათ სამუშაო დღის რვა საათამდე შემოკლების საკითხის გადაწყვეტა ან პირველ მისიობის დღესასწაულობა?! აგრეთვე საფრანგეთმა ცოტა დახვრტა გაფიცული მუშები!.. და ასე სხვა სახელმწიფოების მთავრობებმა.. რუსეთმა?! მარა, ამ მთავრობის მოქმედება ხომ საზღაბრაა, მასთან მეტად ახალი, დღევანდელი აზმებია, რომ მასზე საქირო იყოს შეჭერება. რასაკვირველია, მთავრობანი ასე იღვწიან მუშათა კლასის წინააღმდეგ დღევანდელ წეს-წყობილების შესარჩენათ და მდიდრებს ემზობიან არა იმიტომ, რომ თავის-თავათ მოსწონთ ეს თუ ის მდიდარი, —არამედ იმიტომ, რომ თვითონაც მდიდრებია, მათი შვილებია

და, როგორც სთქვა დიდებულმა და პროლეტარიატის საქმიანთის თავდადებულმა მეგრძოლმა მეცნიერმა—რევოლიუციონურ-სოციალ-დემოკრატმა მარქსმა,—ყოველი მთავრობა აღმასრულებელი კომიტეტია ბურჟუაზიისა, მდიდრებისა..

მაშ, მთავრობა და მდიდრები — ორივე ერთგვარათ მტერი ყოფილა მუშათა კლასისა, მშრომელი ხალხისა მაშ, ესენი ერთგვარათ დანტერგებულნი არიან მშრომელ ხალხის გაყვლეფა—გაცარკვის საქმეში! მაშ, ამთავან არ უნდა მოველოდეთ უებარ წამალს „სოციალურ სწეულებათა“ მოსარჩენათ. მაშასადამე, არც უმუშევრობის და არც უმუშევართა საკითხი გადაწყდება მათი შემწეობით. პირიქით; როცა ის დაბოლოებით გადაწყდება,—გადაწყდება მათ წინააღმდეგ, მათი ნება-ყოფლობის ვარშე, ვინაიღვან ეს მათ სიკვდილს ნიშნავს. ხოლო თავის თავს გიყის მეტი, ქუაზე მყოფელი ვინ მოიკლავს,—და კიდევ მთელი კლასი, მთელი ბრბო ყაჩაღ-აუვაზე ხაზინებისა და მათ დამცველ მთავრობათა!?

ასე, ამგვარად არც მთავრობა, ისე, როგორც არც ღმერთი, არც გმირი, ვერ იხსნის ხალხს, მუშათა კლასს ამ სოციალურ სიბოროტისაგან: საყოველთაო უმუშევრობა ვერ მოისპობა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, —ის აქ ოღანდაც ვერ შესუსტდება. მაშ, ვინაა ამ სენისაგან გამკურნავი მუშა ხალხისა,—პროლეტარიატისა? თვით პროლეტარიატი თავის პარტიის და თავის პროფესიონალურ კავშირების შემწეობით.. მხოლოდ თვით პროლეტარიატი გამოსკედს თავის ბედს, მხოლოდ ის გადაწყვეტს ამ უდიდეს სოციალურ საკითხს, რათაც უნდა დაუჯდეს ეს მას. უამისით ის, როგორც მთელი ხალხი, გადაშენების გზას დაადგება... ამიტომ, საქიროა შეგნება, შეგნება და კიდევ შეგნება.. „ცოდნა-ძალააო“,—ლიბენტებმა სთქვა. ცოდნა მოვლენის, ცოდნა მისი მიზეზების—თავდებია იმისა, რომ მუშათა კლასი განიკურნავს თავის თავს, განიკურნავს მთელ საზოგადოებას, მთელ ხალხს უმუშევრობისა და სხვა მრავალგვარ სოციალურ „სენთავან“, —და დაუშვიდრებს კაცობრიობას, „სასუფეველსა არა ცათა შინა“, —არამედ ამ ჩვენ „ცოდვილ“ დედამიწაზე. როგორ და რა-გვართ? ამაზე შემდეგ.

„საზაბრიკო კანონმდებლობა“ და პროლეტარული ბრძოლა.

(15 ნოემბრის ორი კანონის გამო).

დრო იყო, როცა ჩვენი მუშათა მოძრაობა პირველ საფეხურებზე იდგა. მაშინ პროლეტარიატი ცალკე ჯგუფებათ იყო დანაწილებული და საერთო ბრძოლაზე არ ფიქრობდა. რკინის გზის მუშები, მთა-მდნის მუშები, ფაბრიკა-ზავოდის მუშები, ხელოსნები, ნოქარ-მოსამსახურენი, —თი რა ჯგუფებათ იყო დაწვრილებული რუსეთის პროლეტარიატი. ვარდა ამისა, თვითოეული ჯგუფი, თავის მხრივ, დანაწილებული იყო სხვა-და-სხვა ქალაქებისა და დაბების მუშებათ, რომელთა შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, არც პარტიული, არც პროფესიონალური. ამგვართ, არ სჩანდა პროლეტარიატი, როგორც ერთი და განუყოფელი კლასი. ცხადია, არ სჩანდა არც პროლეტარული ბრძოლა, როგორც საერთო—კლასიური იტრიში. ამიტომ იყო, რომ მუშის მთავრობა არხინათ განაგრძობდა თავის „მამა-პაპურ პოლიტიკას. ამიტომ იყო, რომ 1893 წელს, როცა სახელმწიფო საბჭოს წარუდგინეს „მუშათა დაზღვევის პროექტი“, —რეაქციის უსტაბაში, პოპულაროსკევი, სიცილით მიეგება პროექტის ავტორებს და რიხია-

ნათ უპასუხა: „ბატონებო ტყუილათ შეგიწოდებთათ თავი, შეგიძლიათ დამშვიდდეთ: ჩვენი მუშათა კითხვა არ არსებობს“-ო...

მაგრამ დრო მიდიოდა, ეკონომიური კრიზისი ახლოვდებოდა, გაფიცვები ხშირდებოდა, და დაქუცმაცებული პროლეტარიატი თანდათან ერთ კლასათ ირავებოდა. ჯერ კიდევ 1903 წლის გაფიცვებმა გამოაშქარაჟა, რომ „ჩვენში“ დიდი ხანია „არსებობს მუშათა კითხვა“. 1905 წლის იანვარ-თებერვლის გაფიცვებმა პირველათ ამცნო ქვეყანას, რომ რუსეთში მწიფდება და ვაკაცდება პროლეტარიატი, როგორც ერთი და განუყოფელი კლასი. დაბოლოს, ოქტომბერ-დეკემბრის საერთო გაფიცვებმა 1905 წლის და იენის-ილისის „საოჩრდოლო“ გაფიცვებმა 1906 წელს ფაქტიურათ დაუახლოვა ერთმანეთს სხვა-და-სხვა ქალაქის პროლეტარები, ფაქტიურათ შეადგინა ერთ კლასათ ნოქარ-მოსამსახურენი, ხელოსნები, სამრეწველო მუშები,—და მით ხმაძიდა ამცნო ქვეყანას, რომ ერთხელ დაქუცმაცებული პროლეტარიატის ძალები დღეს უკვე შერთვისებს გზას დასდგომისა და ერთ კლასათ ირავება. დიახ, აქ, ამ გაფიცვების დროს, აშქარათ იჩინა თავი პროლეტარიატმა, როგორც ერთმა და განუყოფელმა კლასმა. აქვე იჩინა თავი საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ, როგორც საერთო პროლეტარულმა ბრძოლამ წინააღმდეგ დღევანდელი წესებისა... ეხლა კი შეუძლებელი იყო „მუშათა კითხვის“ უარყოფა, აქ უკვე იძულებული იყო მეფის მთავრობა ანგარიში გაეწია მოძრაობისათვის. და აი; დაიწყო რეაქციონერთა კაბინეტებში სხვა-და-სხვა კომისიების, პროექტების და „საფაბრიკო კანონების“ შედგენა: შიდლოვსკის კომისია, კოკოცკევის კომისია, კეშირების კანონი (იხ. 17 ოქტომბრის „მანიფესტი“), ვიტე-დურნოვის ცირკულიარები, სხვა-და-სხვა პროექტები და პლანები და; ბოლოს, 15 ნოემბრის ორი კანონი შესახებ ხელოსნებისა და ნოქარ-მოსამსახურეებისა,—აი რა პასუხით მიეცება მეფის ძველი მთავრობა მუშათა ახალ მოძრაობას...

სანამ მოძრაობა უსუსური იყო, სანამ ის მასიურ ხასიათს მიიღებდა, რეაქცია მხოლოდ ერთ საშუალებას ხმარობდა პროლეტარიატის წინააღმდეგ: ეს საშუალება იყო ციხე, ციხიერი, მთარახი და სახარხოვლა. რეაქციას ყველგან და ყოველთვის ერთი მიზანი აქვს: გაპყოს პროლეტარიატი პაწია ჯგუფებათ, წელში გატეხოს მისი მოწინავე ნაწილი, შეაშინოს და მიიხზროს ნეიტრალური მასისა და ამგვარათ, არც-დარევა მოახდინოს, პროლეტარიატის ბანაკში. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ მიზანს წინეხულათ ახწევდა ის მთარახებითა და ციხეებით.

მაგრამ სულ სხვანაირათ დატრიალდა საქმე, როცა მოძრაობამ მასიური ხასიათი მიიღო. ახლა მარტო „მოთავეებთან“ აღარ ქონდა საქმე რეაქციას,—მის წინ უთვალავი მასის იდგა თავის რევოლუციონერ სილიდით. და მას ანგარიში უნდა გაეწია სწორეთ ამ მასისათვის. მასისა კი ვერ დაახარბო და ვერც გააციმობრებ, მას ციხეებში ვერ მოათავსებ და მისი გამთარახება-კი ყოველთვის ხელსაყრელი არაა ნიდად-მერყეული რეაქციისათვის. ცხადია, ძველ საშუალებასთან ერთათ, საჭირო იყო ახალი საშუალება, „უფრო კულტურული“ საშუალება, რომელიც, რეაქციის აზრით, უთანხმოებას გაზრდიდა პროლეტარიატის ბანაკში, ტყუილ იმედებს აღუძრავდა მუშათა ჩამორჩენილ ნაწილს, ბრძოლაზე ხელს ააღებინებდა მას და მთავრობის გარშემო შემოკრებდა.

სწორეთ ეს ახალი საშუალებაა „საფაბრიკო კანონმდებლობა“.

ამგვარათ, მეფის მთავრობა ხელს არ უშვებს ძველ საშუ-

ალებს, მაგრამ ამავე დროს მას უნდა „საფაბრიკო კანონმდებლობაც“ მოიშველიოს და ასე, მთარახითა და კანონით გადასჭრას „მუშათა საჭირ-ბოროტო კითხვა“. მას უნდა სხვა-და-სხვანაირი დაპირებით შესახებ საშუალო დღის შემცირებისა, ბავშვებისა და ქალების დაცვისა, გიგიენტურ პირობების გაუმჯობესებისა, მუშათა დაზღვევისა, ჯარიმის მოსპობისა და სხვა ამგვარი სიკეთისა,—ერთი სიტყვით—მას უნდა ეგრეთ წოდებული „საფაბრიკო კანონმდებლობით“ ნდობა მოთხოვოს მუშათა ჩამორჩენილ ნაწილში“ და მით სამარე გაუთხაროს პროლეტარიატის კლასიურ მთლიანობას. მეფის მთავრობამ კარგათ იცის, რომ მისი ამგვარი „მოღვაწეობა“ იმდენათ არასდროს არ იქნება მისთვის ისე საჭირო, როგორც დღეს, დღევანდელ მომენტში, როცა საერთო გაფიცვამ ერთმანეთს შეაუღლა სხვა-და-სხვა დარგის პროლეტარები და ძირი შეურყვია რეაქციას, როცა მომავალი საერთო გაფიცვა შეიძლება შეიარაღებულ ბრძოლათ გადაიქცეს და სამუდამათ დასცეს ძველი წესები, როცა—მაშასადამე—ჰაერზე უფრო საჭიროა რეაქციისათვის მუშათა ბანაკის არც-დარევა, ჩამორჩენილ მუშებში ნდობის მოპოვება და მათი მოხზობა.

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ 15 ნოემბრის კანონებში რეაქციამ მხოლოდ ნოქარ-მოსამსახურეებსა და ხელოსნებს მიმართა თავის მოწვეულ თვლით, და ეს იმ დროს, როცა ის ციხეებში და სახარხოვლაზე გზავნის სამრეწველო პროლეტარიატის საუკეთესო წილებს. ეს არც საკვირველია, თუ საქმეს ჩაუვკვირავთ. ჯერ ერთი, რომ ნოქრები, ხელოსნები და საეპრო დაწესებულებათა მოსამსახურენი სამრეწველო მუშებში შექუჩებულნი არ არიან დიდ ფაბრიკა-ზავოდებში, ისინი გაფანტულათ შრომობენ სხვა-და-სხვა პაწია დაწესებულებებში, შედარებით უფრო ჩამორჩენილნი არიან მეგნების მხრივ და, მაშასადამე, მათი მოტყუება უფრო ადვილია; ვიდრე სხვების; მეორეთ, ნოქარ-მოსამსახურენი და ხელოსნები პროლეტარიატის აუარებელ ნაწილს წარმოადგენენ დღევანდელ რუსეთში, და, მაშასადამე, მათი ჩამოშორება მე-ბრძოლ პროლეტარებისაგან შესაძლებელია შესუსტებდა პროლეტარიატის ძალას როგორც დღევანდელ არჩევებში, ისე მომავალ გალაშქრებაში; დაბოლოს, ყველამ იცის, რომ დღევანდელი რევოლუციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის წერილ ბურჟუაზიას, ყველამ იცის, რომ საჭიროა მისი გარე-ვოლუციონერება პროლეტარიატის მეთაურობით, ვიციით ბურჟუაზიის, რომ წერილი ბურჟუაზიის მოხზობას ისე ვერაინ ვერ მოახერხებს, როგორც ხელოსნები და ნოქარ-მოსამსახურენი, რომლებიც სხვა პროლეტარებზე უფრო ახლო დგანან მასთან; ცხადია, ნოქარ-ხელოსნების ჩამოშორება წერილ ბურჟუაზიასა და ჩამოშორებას პროლეტარიატს და გამარტოვებულათ დასტოვებს მას, რაც ასე ძალიან ენატრება მეფის მთავრობას. ამის შემდეგ თავისთავათ ცხადია, თუ რატომ გამოაცხო რეაქციამ 15 ნოემბრის კანონები მხოლოდ ხელოსნებისა და ნოქარ-მოსამსახურეებისათვის. რაც შეეხება სამრეწველო პროლეტარიატს, მას, სულ ერთია, მთავრობის აღარა სწამს-რა, მისთვის მეტია „საფაბრიკო კანონმდებლობა“ და ისევ ტყეები თუ მთარჯულებს. რაც კანონმა დააკლო, ის ტყეებამ უნდა შესარული...!

ასე ფიქრობს მეფის მთავრობა. და ამნაირათ ფიქრობს არა მარტო ჩვენი მთავრობა, არამედ ყოველგვარი მთავრობა—სულ ერთია—ფეოდალურ-თვით-მპყრობელური იქნება ეს მთავრობა, ბურჟუაზიულ-მონარქიუ-

ლი თუ ბურჟუაზიულ-რესპუბლიკანური: ყველგან ტყვიითა და კანონით ებრძვიან პროლეტარიატს და ყოველთვის ასე იქნება, სანამ სოციალისტური რევოლუცია არ იგრილებს, სანამ სოციალიზმი არ დამყარდება. გაიხსენეთ 1824—5 წლები კონსტიტუციონალურ ინგლისში, როცა გაფიცვის თავისუფლების კანონს ამუშავებდნენ და იმავე დროს გაფიცული მუშებით ავსებდნენ ციხეებს; გაიხსენეთ რესპუბლიკანური საფრანგეთი წარსული საუკუნის მეორეოთხე წლებში, როცა „საფაბრიკო კანონმდებლობაზე“ ლაპარაკობდნენ და იმავე დროს მუშების სისხლით რწყავდნენ პარიტის ქუჩებს; გაიხსენეთ ყველა ეს და სხვა ამგვარი ურიცხვი ფაქტი და დაინახეთ, რომ ეს სწორეთ ასეა.

დახე, „საფაბრიკო კანონმდებლობა“ ეს ის იარაღია, რომელსაც ტყვიასთან ერთად ხმარობს რეაქტია პროლეტარიატის დასაქუცმავებლათ და მის რაზმების ასარეც-დასარეცათ.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფითომ ამისთანა კანონებს პროლეტარიატი ვერა შემთხვევაში ვერ გამოიყენებს. მართალია, რეაქციას თავისი პლანები აქვს, როცა ის საფაბრიკო კანონებსა“ სცემს—მას პროლეტარიატის აღადგენა უნდა, მაგრამ მის პლანებს ფხვადფხვ ანგრევს ცხოვრება და მას ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის ეპარება კანონში პროლეტარიატისთვის სასარგებლო მუხლები; და ეს იმიტომ ხდება, რომ არც ერთი „საფაბრიკო კანონი“ არ ჩნდება ცხოვრებაში უმიზეზოთ, უბრძოლოთ, არც ერთ „საფაბრიკო კანონს“ არ სცემს მთავრობა იქამდე, სანამ მუშები არ გაიბრძოლებენ, სანამ აუცილებელი არ გახდება მათი მოთხოვნების შესწავრა. ისტორია გვიჩვენებს, რომ თვითოეულ „საფაბრიკო კანონს“ წინ უსწრებს კერძო, ან საერთო გაფიცვა: 1832 წლის ინგლისის კანონს (შესახებ ბავშვების მიღებისა, მათი სამუშაო დროსი და საფაბრიკო ინსპექციის დაწესებისა) წინ უსწრებდა იმავე წლის გაფიცვები ნარვაში, პერმში, პეტერბურგში და ეიზარდოვში; 1885 წლის ინგლის-ოქტომბრის კანონები (შესახებ ჯარმისა, „რასობრივი კნიჟებისა“ და სხვ.) პირდაპირი შედეგი იყო 1885—6 წლების გაფიცვებისა ცენტრალურ რაიონში; 1897 წლის ინგლისის კანონს (შესახებ სამუშაო დღის შემცირებისა) წინ უსწრებდა 1895—6 წლების გაფიცვები პეტერბურგში; 1903 წლის კანონები (შესახებ „ხაზინების პასუხის მეგებლობისა“ და „საფაბრიკო სტაროსტებისა“) პირდაპირი შედეგი იყო ამავე წლის „სამხრეთის გაფიცვებისა“; დაბოლოს, 1903 წლის 15 ნოემბრის კანონები (შესახებ ნოქარ-მოსამსახურეთა და ხელოსანთა სამუშაო დღის შემცირებისა და კვირაობით დასვენებისა) პირდაპირი შედეგია ამავე წლის ინგლის-ივლისის გაფიცვებისა მთელ რუსეთში. როგორც ხედავთ თვითოეულ „საფაბრიკო კანონს“ წინ უსწრებდა მასის მოძრაობა, რომელსაც, ასე თუ ისე, თავისი მოთხოვნები ვაჰყავდა, საცხებით თუ არა, რამოდენიმეთ მაინც. აქედან თავისთავთ ცხადია, რომ „საფაბრიკო კანონში“, რაც უნდა ცუდი იყოს ის, რამდენიმე მუხლი მაინც იქნება გარეული, რომელსაც პროლეტარიატი გამოიყენებს თავისი ბრძოლის გასაძლიერებლათ. ლაპარაკი არ უნდა, რომ მან ხელი უნდა მოჰკიდოს ამისთანა მუხლებს და იარაღთ იხმაროს იმისათვის, რომ უფრო მეტად გააძლიეროს თავისი ორგანიზაციები და წინანდლზე უფრო გაახუროს პროლეტარული ბრძოლა, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის. ტყუილიათ-კი არ ამბობდა ბებელი: „ემშაკს მისივე ხმლით უნდა მოსჭრა თავი“...

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა 15 ნოემბრის ორივე კანონი: იქ, რა თქმა უნდა, ბევრი ცუდი მუხლია აღნიშნული, მაგრამ არის იმისთანა მუხლებიც, რომლებიც მისდა შეუგნებლათ შეუტანია რეაქციას, და რომლებიც შეგნებულათ უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა.

აი, მაგალითათ, მიუხედავათ იმისა, რომ ორივე კანონს „შრომის დაცვის“ კანონი ჰქვიან, იქ ისეთი უმსგავსი მუხლებია შეტანილი რომლებიც ძირიანათ უარყოფს ყოველივე „შრომის დაცვას“ და რომლებსაც ზოგან ხაზინების კი არ იკადრებენ: ორივე კანონი 12 საათის სამუშაო დღს აწესებს სავაქრო და სახელოსნო დაწესებულებებში, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრგან უკვე მოსპობილია 12 საათის სამუშაო და შემოდებულათა 10 ან 8 საათის; ორივე კანონი შესაწყნარებლათ სცნობს ზედმეტ მუშაობას დღეში ორ საათს (14 საათის სამუშაო), 40 დღის განმავლობაში სავაქრო დაწესებულებებში და 60 დღის განმავლობაში სახელოსნოებში, მიუხედავათ იმისა რომ თითქმის ყველგან უარყოფილია ყოველივე ზედმეტი სამუშაო; ამასთანავე ხაზინებს უფლება აქვთ „მუშებთან შეთანხმებით“, ე. ი. მუშებზე ძალდატანებით, 17 საათამდე გააგრძელონ ზედმეტი მუშაობა და სხვა-და-სხვა ამისთანები...

თქმა არ უნდა, რომ პროლეტარიატი ვერც ერთ მისხლან ვერ დათმობს ხაზინებს ერთხელ მოპოებულ უფლებებიდან და ხსენებული კანონების ლათაიები სასაცილო ლათაიებათვე დარჩება.

მეორე მხრივ, არის იმისთანა მუხლებიც, რომლებსაც ჩინებულათ გამოიყენებს პროლეტარიატი თავის პოზიციების გასამაგრებლათ: ორივე კანონი ამბობს, რომ იქ, სადაც 8 საათზე ნაკლებ არ გრძელდება დღიური მუშაობა, მომუშავეს საღიფისთვის 2 საათი უქდევს, დღეს კი ყველგან ვერ სარგებლობენ ხელოსან-ნოქარ-მოსამსახურენი 2 საათის დასვენებით; ორივე კანონი ამბობს აგრეთვე, რომ ჩველმეტა წლისაზე უმცროსებს უფლება უქდევს ამ ორ საათს გარდა კადევ სამ საათს დააკადვენ მაღაზიას ან სახელოსნოს ეთავედღე სკოლაში სისარულოთ, რაც, რა თქმა უნდა, დიდს შედეგათს მისცემდა ჩვენს ახალგაზდა ამხანაგებს...

თქმა არ უნდა, რომ პროლეტარიატი ღირსეულათ მოიხმარს 15 ნოემბრის ამგვარ მუხლებს, ღირსეულათ გააძლიერებს თავის პროლეტარულ ბრძოლას და ერთხელ კიდევ დაუტრეცეს ქვეყანას, რომ ეშაქს მისივე ხმლით უნდა მოჰკვეთს თავი.

კ ვ ი რ ი დ ა ნ კ ვ ი რ ა მ დ ე .

— ბედნიერია ის ვერი, რომელსაც ჩვენისთანა მთავრობა ყავს. ვინც რა უნდა თქვას, და მე კი არასოდეს არ დავიჯერებ, თითქო ბიუროკრატის სხვაზე ნაკლებ შეეძლოს სახელმწიფოს მართვა გამგებობა, თითქო ბიუროკრატის ფხვზე ეყდოს ხალხის ინტერესები და მართო თავის-თავზე ფიქრობდეს. აბა, ღა დასაჯერებელია, როცა ცოცხალი მაკალითები სულ სხვას გვეუბნება. განა რუსეთის ბიუროკრატული მთავრობა არ ზრუნავს ხალხის კეთილდღეობისათვის?! მე ვამბობ: ზრუნავს-მეთქი და დავამტკიცებ კიდევ. ისედაც გაქვირებულ რუსეთის გლეხობას უღალატა ბედმა და მოსავალი წახდა. დამშა რამდენიმე გუბერნია. გლეხები საზარელ მდგომარეობაში ჩავარდნ. ზოგან შიმშილით სიკვდილიდან თავის დასახსნელათ საშინელ საშუალებას მიმართეს. ვის უნდა დაეხსნა ამ მდგომარეობიდან

გლუხობა? ჩვენ ბიუროკრატიულ მთავრობას, რასაკვირველია, და დაისხნა კიდევ!.. მაგრამ, გლუხები შიშშილიდან კი არა... ვიღაცა „კლოზეტრიკი“ ლიდვლი გაკოტრებიდან. გლუხები თუმცა ისევ შიშვრები დარჩენ, მარა სამაგიეროთ ლიდვლი კადე-შანტანს ხსნის მოსკოვში მთავრობის ხარჯით. რაკი ამ საშუალებამ არ გასქრა და გლუხები ვერ გააძლო მთავრობამ, უფრო ადვილი და იაფი საშუალება გამოიგონეს. მთავრობის გამოანგარიშებით, ტყვია გაცილებით უფრო იაფი ჯდება თურმე პურზე და გადასწვვიტეს გლუხების შიშშილიდან დახსნა... ტყვიებით. ეს საშუალება პირველათ სცადეს ყაზანის გუბერნიაში;—იქაური გუბერნატორი ღიღის რიხით ატყობინებს სამინისტროს: „როცა შიშშილისაგან გამწარებულმა გლუხებმა მალაზიებში ჩაკეტილი ხორბალი დაიტაცეს, მიეუსიე პოლიციის დარაჯები და თოფები დავეშინეთო, ზოგი დავხოკეთ, ზოგი დაიქრა და ზოგიც დავიქირეთო“. ყაზანელ გლუხებს ამის შემდეგ აღარც პური დასქირდებათ და აღარც შიშშილი შეაწუხებთ! ასე ზრუნავს ჩვენი მთავრობა დამშუულ გლუხებისთვის...

— მთავრობა ხომ ზრუნავს და ზრუნავს, მარა არა ნაკლებ ზრუნავს ჩვენი ქალაქების ღუმა და უმეტესათ პეტერბურგის, უმუშევრების ბედის მოსაწყობათ. აუარებელი ხალხი უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. იყო მაგალითი, რომ შიშშილისაგან ქუჩაში მოკვდა მუშა. ასეთ საშინელ დროს მეტათ ღიღი მზრუნველობა გამოიჩინა პეტერბურგის ქალაქის ღუმამ. ის უარს ამბობს, დღეიდან აღარ შეგვიძლია დახმარება გავუწიოთ უსაქმოთ დარჩენილებსო. ის მთავრობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედობს. მხოლოდ ერთი ფრიალ ღიღი კაცთმოყვარეობა; გამოიჩინა ქალაქის ღუმამ და მასთან ერთათ მთავრობამ: სასაღმლოების დახსურვის შემდეგ ნებას აძლევენ მუშებს...თავი-

სუფლათ განუტეონ სული ქუჩაში... თვითონ-კი ამ დროს კადე-შანტანებში და სასახლეებში, შამპანიურით შეზარხოშებულინი, განცხრომას ეძლევიან...

— მარა მარტო უსაქმოთ დარჩენილი მუშები არ არიან ასეთ საშინელ მდგომარეობაში. მარტო მათ არ სძერებათ შიშშილით სული. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში კრიან თურმე რუსეთის ზოგიერთი „უსაქმო“ გენერალ-გუბერნატორები. მათ ისე ცოტა ჯამაგირები ქონიათ, რომ სულს ძლიეს იბრუნებენ თურმე. მაგ.; ვარშავის გენერალ-გუბერნატორს ორმოცდა ცამეტი ათას შვიდას ოთხმოცდა ათი მანეთი; ვილნოს გენერალ-გუბერნატორს—ოცდა ოთხი ათასი მანეთი; სტეპნოისას—ოცდა ოთხი ათას ექვსას ოთხმოცდა ოთხთმეტი; თურქესტანისას—ოცდა ცხრა ათას ხუთას ოცდა ოთხრმეტი; ირკუტსკისას—ოცდა ექვსი ათასი, მის თანაშემწეს—ექვსი ათას ხუთასი; მის კანცელარიის გამგეს ოთხი ათასი; კრონშტადტის ნავთსაღურის უფროსს—თოთხმეტი ათას სამოცდა ექვსი; კავკასიის ნამესტნიკს ორმოცდა ოთხთმეტი ათას სამოცდა ექვსი მანეთი ასე, რომ კავკასიის ნამესტნიკს დღეში ქონია ას ოცდა სამი მანეთი და 47 კ. როგორ უნდა ცუოს დღეში ეს ორიოდ გროში? უბრალო ვინმე ხომ არ არიან, რომ ადვილათ შეიძლებოდეს მათი დაკმაყოფილება? ვიღაც შავ მუშას, რომელსაც შეუძლია თავის ძარღვიან მკლავებით რაიმე საქონელი გამოსქედოს, შეუძლია შიშშილით მოკვდეს ქუჩაში. გენერალ-გუბერნატორებს-კი ეს არ შეუძლიათ. მათ არც საქონლის გაქედვა შეუძლიათ, მარა სხვა უფრო „წმინდა“ და „სანეტაი“ საქმე აქვთ... დახვეტა... ჩამოხრობა... სამხედრო-საველე სასამართლოები, კატორღა-ციმბირი და სხვა. განა რომელი მუშის შრომა შეედრება ამას?!..

— შრომობენ ჩვენი გენერალ-გუბერნატორები, მარა ყველაზე მეტათ თავდადებულათ შრომობს და ღიღი ღვაწლი

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

მუშათა ანგაზი.

(თარგმანი).

(გაგრძელება. იხ. „ახალი დროება“ № 3).

გაკვეთილი VI.

მუშათა მოვალეობანი.

1. —რა საშუალებით ფიქრობ მუშათა გაქირვების მოსპობას?
3. —პროფესიონალურ კავშირების დახმარებით, ყველა მუშების შეერთებით და სოციალისტური რევოლიუციის მოხდენით, როგორც ამტკიცებენ ამას ყველა განვითარებული მუშები.
2. —რა არის მუშათა პარტია?
3. —ეს პარტია დაფუძნებულია ლიბერალურ და კათოლიკურ პარტიათა საწინააღმდეგოთ, ე. ი. ბურჟუაზიული პარტიების დასამარცხებლათ.
3. —რა სურს ამ პარტიას?
3. —მას სურს მოსპოს დღევანდელი უსამართლობა და მისი მიზეზები, მას სურს აღამალოს მუშათა კლასის მდგომარეობა მისი სიღარიბის მოსაპობით.
4. —რაში გამოიხატება დღევანდელი უსამართლობის მიზეზები?
3. —უფლებათა და მოვალეობათა უთანასწორობაში.

- ბურჟუაზიას მინიჭებული აქვს ბევრი უფლება და თითქმის სრულიად არავითარი მოვალეობა არ აწევს მას კისერზე, მაშინ, როდესაც მუშები ასრულებენ ათასგვარ მოვალეობას და თითქმის არავითარი უფლება არა აქვთ მინიჭებული.
5. —შეერთებული კი ხარო ყველა მუშები თქვენ უფლებათა მოსაპოვებლად?
3. —საუბედურათ არა, მაგრამ ისინი მალე შეერთდებიან, რადგანაც აღარ მოისურვებენ სამუდამოთ მონობაში დარჩენას.
6. —შეიგნეს-კი ბელგიელმა მუშებმა თავიანთი მონური მდგომარეობა?
3. —ჯერ არა, ისინი ნელ-ნელა ფიზილდებიან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთხელ დაწყებულ გამოფიზილდებას ვეღარა შეაჩერებს-რა, და, მაშასადამე, ახლოვდება ის დრო, როცა პროლეტარიატის იერიში სამუდამოთ დალევს მონობის ბორკილებს.
7. —რით აიხსნება ის, რომ მუშები აქამომდე ჯერ კიდევ არ შეერთებულან?
3. —არის რამდენიმე მიზეზი; მაგრამ უმთავრესი კი ის არის, რომ ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული კავშირების ძლიევა-მოსილი მნიშვნელობა.
8. —ეს რას ნიშნავს?
3. —მე მინდა ვთქვა, რომ მუშები, რომელთაც რამდენიმე საუკუნოებით ჰყვლევდენ,—დღესაც ისე ფიქრობენ, რომ ეს ყოველთვის ასე უნდა იყოსო.
- მაგრამ თუ მშპ ათასი ბელგიელი მუშები ერთ პარტიად

მიუძღვის მთელი რუსეთის წინაშე, უმეტესათ მუშების, ერთ დიდებულ გენერალს: აბა, გენერალი ბოგდანოვიჩი ვის არ გაეგონება! ის დიდებული კაცია! ის სახელმწიფო ლიტერატორია! მას დიდი ხანია სწავლია მუშების განათლება და ამ მიზნით ბევრად საუცხოვრო წიგნებს, ხოლო თავის ხარჯით-კი არა,—მთავრობის. მთავრობა მას ბლომათ აძლევს ფულებს. მარტო მისი წიგნების გადატან-გადმოტანა მთავრობას რამდენიმე ათასი მანეთი უჯდება. რა შინაარსის იქნება ისეთი წიგნები, რომლის გავრცელებასაც მთავრობა ცდილობს და ფულებს ხარჯავს, ადვილათ გასაგებია. ესლახან გენერალს ახალი წიგნი გამოუცია ამ სათაურით: „ახალი დღეა“. ამ წიგნში თავიდან ბოლომდე შერჩაზმული აზრებია. ამიტომ მთავრობას მოუწოდებია მისი გავრცელება და აუარებელს გზავნის რკინის გზებზე. გადატანის ხარჯი რკინის გზამ უნდა ზღოს. როცა მუშებს და მოსამსახურეებს გაუვიათ ეს ამბავი, გადაუწყვეტათ, როგორც-კი მიიღებენ წიგნებს, დახიონ და ქარს გაატანონ. ასე აფასებენ მუშები დიდებულ გენერლის ღვაწლს!

— თუ მუშები ასე აფასებენ თავადდებულ გენერლის დაუფიქრებლად და დაფასებენ ჩვენს კანონმდებლების მათზე ზრუნვას. ამ ბოლო დროს შეამჩნიეს, რომ ზოგიერთი საღაათები და აფიცრები „გაირყვნენ“, რევოლიუციის ფეხის ხმას აყვენ და მთავრობის საწინააღმდეგო გაზრთვებში დაიწყეს წერა. მთავრობამ მოინდომა მათი „სწორე“ გზაზე დაყენება და ფიქრობს, —ახლო მომავალში სამხედრო დებულებაში ისეთი მუხლი შეიტანოს, რომლის ძალითაც არაღვეალურ პრესაში მონაწილეობა სამხედრო პირს პირდაპირ აჯანყებათ ჩაეთვლება და ან კატორღაში უკრავენ თავს და ან ცხელი ტყეით გაუხვრეტენ გულს. ასე ცდილობს მთავრობა მხედრობის „სწორე“ გზაზე დაყენებას!

შევრთებას მოინდობენ, მაშინ ისინი უძლეველ ძალათ გადაიქცევიან და მათი მონობის უღელიც სამუდამოთ დაიმტრევა.

- 9.— ვანა ამის განსახორციელებლათ უსათუოდ საქიროა ყველა ამ მუშების შეერთება?
- 3.— არა. ამისთვის მხოლოდ ისაა საქირო, რომ ყველა შეგნებულად და პატიოსანად მუშა ერთ პარტიათ იყოს დარაზმული.
- 10.— ვისა სთვლი შენ შეგნებულ მუშებათ?
- 3.— არა მარტო იმათ, რომელთაც ზედ-მიწევნით იციან თავიანთი ხელობა, არამედ იმათაც, რომელთაც უყვართ და გულთ და სულთ ეხმარებიან თავის ამხანაგებს, ყოველ შემთხვევაში იჩენენ თავის ენერგიას, მხნეობას, წინდახედულობას და სიმართლის გრძობას.

გაკვეთილი VII.

მუშათა დანაწილება და მათი მოვალეობანი.

- 1.— რამდენია მაღაროებში მომუშავე მუშა ბელგიაში?
- 3.— 135 ათასი.
- 2.— სამეტალურგო წარმოებაში?
- 3.— არა ნაკლებ 110 ათასისა.
- 3.— ჩამომოთვალე სხვა დაწესებულებებში მომუშავეთა რიცხვი.
- 3.— ბელგიაში ირიცხება: 159 ათასი ფიქიპარი (ქალი და კაცი); 67,000 ქვის მთელი; 80,000 ტანთოსაცმელების მკერავი; 49,000 ხე-ტყეზე მომუშავე; 35,000 ქვის მტერველი;

— არა ნაკლებ ცდაშია თურმე არხანგელის გუბერნიის მთავრობა. ის ცდილობს პოლიტიკური გადასახლებულები და-აყენოს... საიქიოს გზაზე. იქაურ მთავრობას კანონებისა და „სტატების“ შედგენისათვის თავი არ უცხელდება, ისე აულია და პოლიტიკურ გადასახლებულებსთვის შესანახი რამდენიმე ასი ათასი მანეთი თვითონ გადაუყლავას. „ჯერ თაო და თაო და მერე ცოლო და შეილო“-ო! ჯერ ჩვენ ცულაპოთ და, თუ რამე დაგვრჩა, მერე პოლიტიკურ გადასახლებულებსო. აი, არხანგელის გუბერნიის მთავრობის ლოლიკა! ესლა ამ საქმეზე პეტერბურგიდან ჩინოვნიკი გაუგზავნიათ საქმის გამოსაძიებლათ, მარა არხანგელის გუბერნიის ჩინოვნიკი და პეტერბურგის ჩინოვნიკი ერთი და იგივე „ჩინოვნიკი“ არაა?! საქმე კეთილათ ვათავდება, ექვი არაა.

— ახირებულათ ვათავებულა საქმე ბერლიანსკის მახრის სოფელ ორლოვკაში, როცა იქ მივიდენ ჟანდარმები, კახაკები და დარაჯები, გლახების დებუტატ პრიტულას დასაქერათ. პრიტულას ბრალს სდებენ— ეიზობრგის მანიფესტზე ხელი მოაწერა ჭ გლახებში აფიტაცია გასწიაო. ამიტომ, ჟანდარმთა საგუბერნიო სამართველოს გაუგზავნია ჟანდარმ-კახაკები, — დაიქრეთ პრიტულა და წარმომიდგინეთ. თოფ-იარაღში ჩამსდარი მხედრობა მისულა სოფელში და მოუნდომებიათ ყოფილი დებუტატის დაქერა, მარა მათ მოულოდნელათ თავს დასხმიათ 300—400 გლახი, ნიჩბები, კეტებით და ფიწლებით შეიარაღებულები და სულ კუღით ქვა უსროლინებიათ. კუღ-ამოძებულები ჟანდარმ-კახაკები უკან დაბრუნებულან ხელ-ცარიელები. ასე უნაყოფოთ ჩაუვლია კახაკ-ჟანდარმების გალაშქრებას გლახთა დებუტატის დასაქერათ...

— მარა, სამაგიეროთ, დიდი ნაყოფი გამოუღია „რუსთა კავშირის“-მიერ გაგზავნილ აგიტატორების მოღვაწეობას. ამის

18,500 მუშა მინეულობის ქარხნებში; 10,000 სტამბებში მომუშავე; 8,000 თამბაქოს ქარხნებში მომუშავე.

- ამას გარდა რამდენიმე ათასი კაცი და ქალი ირიცხება სახლში მოსამსახურეებათ და სხვ...
- 4.— ამათ რა უნდა გააკეთონ?
- 3.— უნდა დააარსონ ადგილობრივი კავშირები, ეს ადგილობრივი კავშირები უნდა შეაერთონ პროფესიონალურ კავშირებათ, და შემდეგ, ეს საოლქო კავშირები ერთ დიდ საერო კავშირათ უნდა გადააქციონ.
- 5.— არსებობენ კი იმგვარი მუშები, რომელნიც ამგვარად მოქმედებდენ?
- 3.— ჰო, როგორ არა! მაგალითად, სამეტალურგო ქარხნებში და სხვაგან.
- 6.— ბელგიელ მუშათა საზოგადოებებს საქმაო წევრები ჰყავს?
- 3.— მათი რიცხვი არც თუ იმდენია, რომ გაფიცვების მოუხმარებლად შეეძლოთ ხაზინების აღაგმვა.
- 7.— რას ნიშნავს შენი სიტყვები?
- 3.— მე მინდა ვთქვა, რომ ის კავშირები, რომლებსაც ცოტა წევრები ყავთ, ან უნდა დაექვემდებარონ თავიანთ ხაზინს, ან და უნდა გაიფიცნენ, რომ მით მოიპოვონ უკეთესი ცხოვრება.
- 8.— ყოველთვის კი აღწევენ გაფიცულები თავის მიზანს?
- 3.— ოჰ! არა, თუმცა მათი მოთხოვნილება მუდამ სამართლიანია.
- 9.— რით აიხსნება?

შესახებ „რუსთა კავშირის“ უმთავრეს საბჭოს პეტერბურგში 22 ნოემბერს კავკავის განყოფილებიდან შემდეგი ცნობა მიუღია: „ჩვენ-მეორე ჩრდილოეთ-კავკასიისაკენ გაგზავნილი აგიტატორები იტყობინებინა, რომ ხალხის შეგნებული ნაწილი თხოულობს—სახელმწიფო დუმის მოწვევა გადადებულ იქნას გაზაფხულამდე. თუ ეს საკმარისი არ იქნება მონარქის წინაშე, მაშინ შეეკითხეთ სხვა განყოფილებებსაც; რადგან ხალხმა გვიან გაიგო თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ამიტომ ასე უცბათ არ შეუძლიათ საიმედო დებუტატების არჩევა“, ასეთ ხულიგანების ღვაწლს არ დაივიწყებს რუსეთის ხალხი.

— არც რუსეთის გლეხთა ცობა დაივიწყებ; მთავრობის საზიზღარ ზომებს მათ წინააღმდეგ. „ურია რომ გაკატრდება ძველ თამასუქებს დაუწყებს ძებნასა“, —ისე ემართება ჩვენ მთავრობასაც. ბოლო დროს ფულები შემოაკლდა და ძველ ვალებს მიყო ხელი. მოინდომა გლეხებიდან დარჩენილ გადასახადების აკრეფა. რაკი შიმშილისაგან შეწუხებულმა გლეხებმა ნებით არაფერი მისცეს, მთავრობამ „ქრისტეს მოყვარე“ მხედრობა მიუსია და ცეცხლთა და მახვილით მოინდომა აღება. ვორონეის გუბერნიის სოფელ კონსტანტინოვსკა ისპრავნიკი დარაჯები და დაუწყია გლეხების აწიოკება. უყრიდენ გლეხებს საქონელს და ისე აგრავებდენ ფულს. გლეხები მოთმინებიდან გამოუსულან და დაუფრენიათ ისპრავნიკი დარაჯებიანა. ისპრავნიკს, რასაკვირველია, უუკადრისებია ეს და მეორე დღეს თავს დასხმია დამსჯელ რაზმით და უიარაღო ხალხი დაუხოცია. არ ინდობდენ არც ქალსა და არც ბევრს. თუ ნებით არა, ცხელი ტყვიით მაინც ავიღებთ ფულებსო და იღებენ. მარა როდემდის?!

მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები.

თ ა ი ლ ი ს ი.

მოიჯარადრე ჯმუხბადე და მუშები. მოიჯარადრე ჯმუხბაძესა და მასთან მომუშავე „მალიარებს“ შორის მოხდა შეთანხმება შემდეგ მუხლებში:

1, ზაფხულობით 8 საათის სამუშაო დღე, ზამთრობითი 7 საათის. ზაფხულის სეზონი იწყება 15 მარტიდან და გრძელდება 15 ნოემბრამდე; სამუშაო დღე დილის 7 1/2 საათიდან საღამოს 5-ამდე, ამაში სადილისათვის 1 1/2 საათი. ზამთრის სეზონი იწყება 15 ნოემბრიდან და გრძელდება 15 მარტამდე; სამუშაო დღე დილის 8 საათიდან საღამოს 4-მდე, ამაში სადილისათვის 1 საათი. შაბათობით-კი ზამთარ-ზაფხულ მუშაობა თავდება ნაშუადღევს 2 საათზე.

2, ხელფასის მიღება ხდება ორ კვირაში ერთხელ, — შაბათობით, მუშაობის გათავებისთანავე დაუყოვნებლივ.

3, ხელოსნები ვალდებული არ არიან გადახდიონ ხოლმე მძიმე ტვირთები, როგორც, მაგალითად, საღებავი მასალები, კბე და სხ. — ამგვარ სამუშაოსათვის ხაზინი ვალდებულია იყოლიოს „შავი მუშა“.

4, მიღება და დათხოვნა რომელიმე ხელოსნისა ხდება ყველა ხელოსნების გადაწყვეტილებით.

5, ავთომოტოზის დროს ხაზინი ვალდებულია აძლიოს ხელოსანს ნახევარი ხელფასი სამი თვის განმავლობაში და ექიმობა და წამლობა ხაზინების ხარჯზე მანამდე, სანამ არ მორჩება; მორჩენის შემდეგ ხელოსანი ისევ იწყებს მუშაობას.

6, ყველა ხელოსნების-მეორე არჩეულ კამისიის გადაწყვეტილების თანახმად, ხაზინი ვალდებულია მისცეს ხელოსანს აფნსათ იმდენი ფული, რამდენსაც კომისია განსაზღვრავს.

3.— იმით, რომ კავშირები შედარებით სუსტნი არიან; ეს უმთავრესად-კი იმის ბრალია, რომ კასებში ფული ცოტა აქვთ.

10.— რა ფული?

3.— ფული, რომელიც გროვდება საწევრო გადასახადით.

11.— ამისენი, საიდან წარმოსდგება ეგ თანხა?

3.— განვითარებული და მხნე მუშები გარდა იმისა, რომ ერთდებიან კავშირებათ, მათ აუცილებლად შეაქვთ ყოველ-კვირეული, ორ-კვირეული, ან თვეური საწევრო გადასახადი გაფიცვის კასაში.

12.— მომიყვანე რომელიმე მაგალითი?

3.— მე, როგორც ვიცი, მაღაროებში 80,000 მომუშავე თითო მარკას იხდის გაფიცვის კასისათვის.

80 ათასი კაცის კავშირს თავისთავად დიდი მორალური ძალა აქვს; მაგრამ ამის მატერიალური ძალაც დიდი აქვს, რადგანაც თვეში 80 ათასი ფრანკი 96ს ათას ფრანკს შეადგენს (35ს ათასი მან.) წელიწადში, სარგებელს გარდა.

სარგებელი, ჩვეულებრივად, ყოველთვის ფარავს კავშირის მართვა-გამგეობის ხარჯს.

13.— მაშ როგორცა სჩანს, საჭიროა იმ აზრის გავრცელება, რომ რაც შეიძლება მეტი გაფიცვები მოახდინონ მუშებმა?

3.— სრულიადაც არა. რაც უფრო მდიდარია და უზარუნველი გაფიცვის კასა მით უფრო ნაკლებია იქ გაფიცვები.

ინგლისში, სადაც კავშირები შედარებით ძლიერია, გაფიცვები იშვიათად ხდება, ვიდრე ბელგიაში.

ყოველ-გვარი უთანხმოებანი მომეტებულ ნაწილად მორიგებით წყდება მუშებისა და ხაზინების მიერ ამორჩეულ დელეგატების შემწევობით.

14.— მერე, ეს კავშირები ფულის მხრივ უზრუნველნი არიან?

3.— დიახ, რადგანაც მათი საერთო თანხა უდრის 70 მილიონ ფრანკს (26 მილიონი მანეთი).

მარტო მაღაროში მომუშავეთა თანხა უდრის 9 მილიონ ფრანკს (3 მილ. 330 ათასი მან.). ამას გარდა რამდენიმე გაფიცვის კასა არსებობს უცხო ქვეყნებში გაფიცულ მაღაროებში მომუშავეთა დასახმარებლად. სამეტალურგო ქარხნებში მომუშავეთა თანხა 6 მილიონს უდრის და სხვა...

15.— მიუხედავად ამისა, ინგლისში მაინც ხომ ხდება გაფიცვები?

3.— ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა; ვიდრე არსებობს მუშათა და კაპიტალისტთა კლასები, ყოველთვის მოხდება ერთმანეთთან შეტაკება, მაგრამ ინგლისში მაინც იშვიათად ხდება გაფიცვები, და თუ ხან ძიულებული არიან მემართონ ამ ხერხს, მაშინ კავშირის კასა ყოველთვის მოვალეა დახმარება აღმოუჩინოს გაფიცულებს.

16.— მაშ, შენ სრულიად დარწმუნებული ხარ, რომ კავშირები დიდ ძალას წარმოადგენენ?

3.— მე სრულიად დარწმუნებული ვარ ამაში და ბრძემბი არიან ისინი, ვისაც ეს არა სწამთ.

7, იმ შემთხვევაში, თუ ხელოსანმა ვერ უზღო ხაზინის აენსათ გამოტანილი ფული, გადაიხდინან დანარჩენი ხელოსნები.

8, თუ მოკვდა ხელოსანი, რომელმაც გაიტანა აენსათ ფული, ხაზინის წინაშე პასუხის მგებელი არაფერ არაა. ამას გარდა ხაზინის ვალდებულია ხელოსანს ოჯახს მისცეს 50 მ. გარდაცვალებულ ხელოსანის დასამარხათ.

9, უმუშევრობის დროს ხაზინი აძლევს ოჯახის პატრონს ხელოსანს 5 მ. კვირაში, უოჯახოს — 3 მანეთს, რომელიც მუშაობის განახლების შემდეგ უბრუნდება ხაზინის ხელფასიდან თითო ჯერ 20% -ის დაქვრით.

10, ქალაქს გარეთ მუშაობის დროს, ხაზინი აძლევს ხელოსანს სამგზავრო იქით-აქებობისას, ბინას, ვასათობისა და გასანათს; და აგრეთვე ხელფასზე — 30% უმატებს.

11, მასალისა და იარაღის დაკარგვაში პასუხის მგებელია ის ხელოსნები ვის განკარგულებაშიც იყო ესენი.

12, ხელოსანი, ან შეგირდი, რომელსაც დაიქვრენ ქურდობაში, მაშინვე დათხოვნილ იქნებიან მუშაობიდან.

13, ჯერ-ჯერობით ბ. ჯმუხაძესან ირიცხება 20 მუდმივი ხელოსანი. რომელიმე ამთავანის დათხოვნის დროს, ხაზინი ვალდებულია მისცეს მას ერთი თვის ჯამავირო.

14, ეხლანდელ ხელფასებზე უნდა მოგვემატოს 10%.

15, ხაზინი ვალდებულია მისცეს ხელოსნებს გაფიცვის დროს სრულად ხელფასი.

თბილისის წყლი-საყვან მიღების კერძო მექარხნეები და მათი მუშები. ცხადზე უცხადესია, თუ რა მგობარი უნდა იყოს ხაზინი მუშისა. ჩვენი მტერ-მოყვარე ხაზინები-კი მუდამ იმას გაიძახიან: ჩვენც თქვენი ამხანაგები ვართ, ჩვენც თქვენსავით ღარიბები ვართ, ჩვენც თქვენთან ვმუშაობთ, სა-

გაკვეთილი VIII.

კავშირების სხვა-და-სხვა შეღავათები.

1.—შენის ფიქრით კავშირებს არ უნდა ჰქონდეთ გაფიცვის კასები?

3.—პირიქით, პირველ ყოვლისა ამგვარი კასებია საქირო, რა თქმა უნდა სადაც ეს შესაძლებელია; ამას გარდა, აუცილებლად საქიროა იქონიონ კასა უმუშევრად დარჩენილებისათვის, სანამ მათ არ დაეხმარება სახელმწიფო.

2.—რა შემთხვევებში უნდა დაეხმარონ უმუშევართ?

3.—როდესაც მუშა ვერ შოულობს სამუშაოს, ან ავით არის, ან და თუ დამახინჯდა მუშაობის დროს.

3.—რამდენს უნდა უდრიდეს საწევრო გადასახადი?

3.—თუ ყველა მუშა გადაიხდის ყოველთვე 1 მანეთს მაშინ ამ ფულით შეიძლება დაარსდეს გაფიცვის ფონდიც, და მშვენიერი კასაც უმუშევრად და ავთამყოფ წევრთათვის.

4.—შეგიძლია მოიყვანო მაგალითი?

3.—შემიძლია. წარმოვიდგინოთ, რომ 135 ათას მუშათგან, 80 ათასმა მოინდომა შესვლა კავშირში. მათ რომ ყოველთვიურათ იხადონ 2 1/2 ფრანკი (ეს შეადგენს 25 კიკა ლულს), მაშინ ისინი კასას შემატებენ 200 ათას ფრანკს (80 ათას მანეთამდე) თვეში, ანუ 2 მილ. 400 ათას ფრ. (900 ათას მანეთამდე) წელიწადში.

მათ უნდა დაიწყონ ამ ფულის მოხმარება მგორე წლიდან, ამ დრომდე კი შეტანილი ფული ბანკში გადიდება სარგებლიანთ 2 1/2 მილ. ფრანკამდე. (425 ათას მან.)

ქმეებს ვიღებთ და თქვენ-კი არჩენით ფულები მიგაქეთო. მაშ, რაკი ასეაო, — გაიძახიან ხაზინები — რათ გინდათ, რომ რვა საათის სამუშაო დღეს თხოულობთო. ხომ ხედავთ — არ არის კარგი ცოტა მუშაობა; ეს ღირ წელიწადია, რაც უმეოვილეთ რვა საათის სამუშაო დღე, — და დავიღუპებითო, — თქვენც ვაგიქირდათ ცხოვრება, რადგანაც ცოტას მუშაობთ და საქმე აღარ არისო. სჯობია მეტი მუშაობა, მეტ ფულს აიიღებთ, და მასთან აღარც სარდაფებში ივლით ფულების გასაფლანგავათო. საბრალო ხაზინები! ღამის ქკუაზე შესცდენ ამდენ მუშებისთვის ზრუნვით: „რათ გინდათ კავშირი, რათ ესარჩლებით შეგირდებს, ან-და რას აყოლიხართ ზოგიერთ სულელე ქარგლებს (სულელეებს ეძახიან იმათ, ვინც ხაზინებს ფეხთ არ უვარდება საკრეკ ცხვარსავით)?!. საქმე ხომ არ გაბრუნდებით და დათხოვნილ ქარგლებს, ან შეგირდებისათვის საქმის გამოსაძიებლათ ტყვილა უბრალოთ დროს კარგავთო“. აი, სხვათაშორის, როგორ იქცევიან: ჩვენი მტერ-მოყვარე ხაზინები: ამას წინათ, ერთმა პატარა ხაზინმა ერთი მუშა — სიმონ ტაბუცაძე, ამხანაგათ გაიხიდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა საქმარისათ გამოსწოვა მას სისხლი, გაავლო ქუჩაში. ასევე მოექცა იგივე ხაზინი მგორე და მესამე მუშას, — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელეები ვალდებულად ჩასვა. ამ ვაუბატონმა ერთი მუშა მხოლოდ იმიტომ დაითხოვა, — რატომ რვა საათის მაგიერ ათ საათს არ მუშაობო. მგორე ხაზინმა ბ. ეალკოცკიმ ასეთი რჩევით მიმართა თავის მომუშავეებს: საქმე ცოტა მაქვს, თუ ნარდათ აიღებთ სამუშაოს ხომ კარგი, თუ არა, და ქარხანას გვეტავო; არ გირჩენიათ ნაჭრობით მუშაობა, მეტს ფულს აიღებთ, ვინემ დღიურათო! საბრალო მუშებიც ბრმათ დათანხმდნენ: ერთ ამხანაგსაც-კი აღარ შეეკითხენ. კარგი იქნებოდა

5. ყველა ეს მშვენიერებაა, მაგრამ, როგორ უნდა და-არწმუნოთ მუშები ამის სარგებლობაში?

3.—ა) განცხადებების საშუალებით უნდა აუწყროთ წესდებანი და ანგარიშები სხვა-და-სხვა კავშირების მოქმედებისა (გაფიცვის კასების, ურთიერთ დამხმარებელ კასების მოქმედება უმუშევართ დარჩენილების, ავთამყოფების და უბედურ შემთხვევებით დაზარალებულთა დასახმარებლათ).

ბ) შესდებისა და ანგარიშების გაერცვლებით თვით კავშირის წევრთა შემწეობით.

გ) შედგენით წრეებისა და კრებებისა, სადაც დაწერილებით აიხსნება მიზანი კავშირებისა. განსაკუთრებით მუშათა კოლეგს უნდა იზიდავდეს ამგვარი კრებები.

6.—საწევრო გადასახადი დიდი არ არი?

3.— საქიროა, რომ მუშები მიეჩვენენ მეტის გადახდას; ამით ისინი მოიპოვებენ მეტ სამუშაო ხელფასს და ამასთანავე თავის ფულს მეტ სარგებელს მოაგებინებენ.

7.—ეგ მშვენიერება იქნებოდა, მაგრამ საკმაოთ გყავთ აგიტატორები და პროპაგანდისტები?

3.—ღიახ, გვყავს. ყველაზე პირველათ გამოდიან მუშათა პარტიისა და პროფესიონალურ კავშირების პროპაგანდისტ-აგიტატორები, შემდეგ ყველა შეგნებული მუშა, ვინც-კი კავშირებში იმყოფება, თითონ ეწევა პროპაგანდა-აგიტაციას, რადგანაც მუშათა გაქირვებაზე ლაპარაკი ისე ადვილია მათთვის და ამ ლაპარაკის ნაყოფი ისე ძვირფასია, რომ ყველას შეუძლია წარმოსთქვას ამის შესახებ რამდენიმე სიტყვა. აგრეთვე ეშველებიან მათ სოციალისტურ კოოპერაციების მოღვაწენი და სხვა მუშები.

ასე, თუ არა... დაბოლოს, როცა საქმე დაასრულებინა, ერთი მუშა გააგდო ქუჩაში, იმიტომ რომ 8—9 წლის განმავლობაში თავისი უმანკო სისხლით ასუქა ბ. ელაკოვსკი! ასეთი „მადლიანი“ ხალხია ხაზინები! ხედავთ, ამხანაგებო, რა მგობრები გვეყოლიათ! რომ თავი გაიმართლონ ხოლმე მტერ-მოყვარე ხაზინებმა, ისევ იმას მღერიან: სულ იმისი ბრალია, რომ რვა საათს მუშაობთ, ანა გემუშავთ 10—11 საათი, თუ დაგიტოხვდითო, ე. ი. აბრალებენ იმას, თუ თვალები რათ ახილეთ მუშებმა!.. ჩვენი სისხლით დამთვრალი ხაზინები გერ გვიქადაგებენ: ჩვენ ვწვალობთ და თქვენ არხინათ ფულები მივაქვითო. მერე-კი, შემდეგ დიდი ხნის ჯიუტობისა, გვეუბნებიან: ბევრი იმუშავეთ და აღარ დაგიტოხვით!

აი ფიზიონომია (სახე) ჩვენი მტერ-მოყვარე ხაზინებისა! აქედან ნათლათა სჩანს, თუ მუშის როგორი მეგობრებია ხაზინები!.. თავისთავით ცხადია, რომ მუშას გაუწევს ამხანაგობას, კემშარბიტ მეგობრობას მხოლოდ მუშა, მხოლოდ თავისებურათ ვატყავებელი ხაზინებისაგან, და არა ის კაცი, რომელიც მისწრაფვის კერძო საკუთრების მოსაპოვებლათ. მუშას არა აქვს არავითარი კერძო საკუთრება, გარდა თავის სამუშაო ძალისა; ესეც არაა მისი საკუთრება, ვინაიდან მთლათ ხმარდება ეს ძალა ძალღურათ ლუკმა-პურის შოვნას და საერთო საქმისათვის ბრძოლას... მაშ, ხსნა ყოფილა არა ხაზინებთან ერთ კავშირში ყოფნაში, არამედ გაყვლეფილების, მუშების, კავშირში. ჩვენ ჩვენი ძალა უნდა დაუპირდაპიროთ ხაზინების ძალას, ჩვენი—პროლეტარების კავშირები მათ—მხარცველექსპლოატატორთა კავშირებს. აი, მათ უნდა გამოვეცხადოთ ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი და შეურიგებელი... მაშ, გაუმარჯოს ჩვენს ერთობას, ჩვენს კავშირს და ყოველგვარ ჩვენ სისხლის-მსმელებთან თავგამოდებულ ბრძოლას... ისი-მეშა.

მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს დადგენილება: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მარქარ კირაკოზოვმა ურცხვით დაარღვია ბრძოლით მოპოვებული უფლებები, ძალა დაატანა მოსამსახურეს კალათით ღვინო წაელო მუშტრისათვის, მოსამსახურემ ეს არ შეასრულა და კირაკოზოვმა უმოწყალოთ სცემა, დაითხოვა და ქუჩაში გამოისტუმრა მოსამსახურე, ამისათვის მოსამსახურეთა კავშირის საბჭო ბოიკოტს უცხადებს მარქარ კირაკოზოვს, სანამ ბოდიშს არ მოიხდის კავშირის წინაშე და უკან არ მიიღებს უსამართლოდ დათხოვნილ მოსამსახურეს. საბჭო მოუწოდებს ამხანაგებს და მიმართავს პატივცემულ საზოგადოებას შესწვეტიან მარქარ კირაკოზოვთან დამოკიდებულება და დაიკონ ბოიკოტი.

თბილისის მოსამსახურეთა კავშირის საბჭო.

თბილისის ლუდის მხარშველ ქარხნების ყველა მუშებმა მიიღეს „ახალი დროების“ მე №2-ში დაბეჭდილი წესდების პროექტი; ამიტომ, დღეის ამას იქით იგი უკვე მიღებულია „თბილისის ლუდის-მხარშველ ქარხნების მუშათა პროფესიონალურ კავშირის“ წესდებით.

კ ა ვ კ ა ს ი ა .

ფოთის სოქარ-ქარგალთა და სსა-და-სსვა სსხელსიოკებში მომუშავეთა საზოგადოების წესდება.

1 საზოგადოების მიზანი.

- 1) საზოგადოების მიზანია თავის წევრთა ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ბრძოლა და აგრეთვე მათი გონებრივ-ხსოვრევი განვითარების ხელის შეწყობა.
- 2) ნოქარ-ქარგალთა ქონებრივი მდგომარეობის გასაუმჯო-

გაკვეთილი IX.

დასკვნა.

- 1.—მაშ, ასე უბედურათა სთელი შენს თავს?
- 3.—არამც თუ მარტო მე ესთელი ჩემს თავს უბედურათ, —ყველა დღიური მუშა და მოსამსახურენი.
- 2.—რათა?
- 3.—იმიტომ, რომ მე მყვლეფენ.
- 3.—ვინა გყვლეფს შენ?
- 3.—ხაზინები და მთავრობა.
- 4.—როგორ?
- 3.—ხაზინი ამკირებს სამუშაო ხელფასს და სამუშაო დროს კი აგრძელებს, რითაც ფეხ-ქვეშ სთელავენ ჩემს აღამანურ ღირსებას.
- ბურჟუაზია მე მყვლეფს იმიტომ, რომ მას აქვს ხელში ჩაგდებული სამუშაო იარაღი, მიწა და ყოველგვარი სიმდიდრე. მთავრობა კიდევ იმით მყვლეფს, რომ იგი სცემს კანონებს მდიდართა სასარგებლოთ და ღარიბთა საწინააღმდეგოთ.
- 5.—განა, ყველა ხაზინები ცუდნი არიან?
- 3.—არა, მაგრამ საქმე მარტო ცალკე პირებზე არ არის დამყარებული, საქმე ცხოვრების საერთო პირობებშია, დღევანდელი ცხოვრების საერთო პირობები-კი მონობაში გამოიხატება.
- 6.—შენ რა აზრისა ხარ წვირლ ხაზინების შესახებ?
- 3.—ისინი ხშირად ისეთივე უბედურები არიან, რო-

გორც მუშები, და იძულებული არიან გაპროლეტარდენ კაპიტალის კონცენტრაციის წყალობით.

7.—ესხლა შენ რას იზამ?

3.—მე უნდა შევეუერთდე ჩემს ამხანაგ მუშებს და შევიღე ღარიბთა პარტიაში—ბელგიის სოციალისტურ მუშათა პარტიაში.

8.—რა უნდა მოითხოვონ ბელგიელმა მუშებმა?

3.—მათ უნდა მოითხოვონ არჩევნების საყველთაო უფლება, რომ ახალმა დემოკრატიულმა პარლამენტმა მუშათა კლასის სასარგებლო კანონები გამოსცეს. მათ უნდა მოითხოვონ უფასო სწავლა პირველ-დაწყებით სკოლებში, ყოველ გვარი პრივილეგიების მოსპობა, საყველთაო შეიარაღება, მემკვიდრეობის მოსპობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება.

მათ უნდა იბრძოლონ კაპიტალიზმის დასანგრევათ, და სოციალიზმის დასამყარებლათ.

ერთის სიტყვით, მათ უნდა მოითხოვონ განხორციელება ბელგიელმუშათა პარტიის პროგრამისა, რომელსაც სურს შრომის განთავისუფლება მონობის უღლისაგან.

მაშ გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა კავშირს!

პროლეტარი.

ბესებლად საზოგადოება ცდილობს: ა) სამუშაო ქირის გადიდებას; ბ) სამუშაო დროის შემოკლებას.

შენიშვნა: სახელმწიფო მამულისა და ქარგლებისათვის, ზედმეტ მუშაობას და აგრეთვე ნაკრძაობას და დღეობას მუშაობის სრულიად გაუქმებას.

3) ხაზინებთან ბრძოლის გასაადვილებლად და ორგანიზაციის გასამაგრებლად საზოგადოება ცდილობს, შემოღებულ იქნას სრული თავისუფლება: გაფიცების, კავშირებისა, სიტყვისა, კრებისა, წერისა, ხელშეუხებლობა პიროვნებისა და ბინისა.

4) საზოგადოება ფულით დახმარებას უწევს უსაქმოთ დარჩენილებს, ვაფიცულებს, ავამყოფ ამხანაგებს და სხვა.

5) ზემო აღნიშნულ მიზნის მისაღწევად საზოგადოება ხელმძღვანელობს უწევს გაფიცვას, ხელს უწყობს ორგანიზაციის განვითარებას, როგორც აქ ისე სხვა ქალაქებში. აარსებს ბიბლიოთეკებს, მართავს კრებებს, ლექციებს და სხვა... აღებს კანტორებს ალაგების მოსახეზნათ, ბიუროს იურიდიულ დახმარებისათვის მოსაწყობათ, სტუმს მოწოდებებს, ანგარიშებს და სხვა.

II

6) საზოგადოების წევრათ მიიღება ყველა ნოქარ-ქარგალი და შევირდები არა უმცირეს 17 წლისა განურჩევლად ერთგონებისა, სქესისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკურ რწმენისა, თუ ის წესდებას ემორჩილება.

შენიშვნა: 1, წევრებთ არ მიიღებიან ხაზინები და ის ნოქარ-ქარგლები, რომელნიც ჯამაგირს გარდა პროცენტებს ღებულობენ. 2, იმათ, ვისაც 17 წელი არ შესრულებიათ, საარჩევნო ხმა არა აქვთ.

7) საზოგადოებაში შესვლისათვის საჭიროა ერთი წევრის თავდებობა და გამგეობას თანხმობა.

III. საზოგადო საქმეთა წარმოება.

8) საზოგადოების საქმეს განაგებენ: ა) წევრთა ანუ წარმომადგენელთა საზოგადო კრება და ბ) გამგეობა.

ა) საზოგადო კრებები.

9) საზოგადო კრებებს იწვევს გამგეობა. კრება არის ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი.

10) ჩვეულებრივი საზოგადო კრება ინიშნება წელიწადში სამჯერ მაინც გასული წლის ანგარიშის განსახილველად და დასამტკიცებლად, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად, გამგეობის წევრთა და მათი კანდიდატების ასარჩევად; ეს კრება წყვეტს როგორც გამგეობის, ისე წევრის თვითონეულ დაყენებულ კითხვებს.

11) არაჩვეულებრივი კრების მოწვევა საჭიროების დროს შეუძლია გამგეობის სარევიზიო კომისიის და ფოთში მყოფ წევრების ერთ მათედ ნაწილს.

შენიშვნა: საზოგადოების მოთხოვნილება არა ჩვეულებრივი კრების მოწვევის შესახებ უნდა დააკმაყოფილოს გამგეობამ ორი კვირის განმავლობაში.

12) საზოგადო კრებას ხსნის გამგეობის თავმჯდომარე, ან მისი ამხანაგი; ამის შემდეგ კრება ირჩევს კრების თავმჯდომარეს და მდივანს იმ პირებთაგან, რომელნიც კავშირში რომელიმე თანამდებობას არ ასრულებენ.

13) ყველა კითხვები საზოგადო კრებაზე ხმის უბრალო უმეტესობით წყდება. თანამდებობის პირების არჩევა ფარული კენჭის ყრით ხდება.

შენიშვნა: წესდებისა და საწევრო ფულის რაოდენობის შეცვლა შეუძლია კრებაზე დამსწრე წევრთა ორ მესამედს.

14) საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ მანვე გამოცხადდება ქალაქში მყოფ წევრთა ნახევარზე მეტი.

15) თუ წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო კრება არ შესდგება, ის ისევ ინიშნება არა უადრეს ერთი კვირისა იმავე კითხვების გადასაწყვეტად; ასეთი კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, რაც მოსაწყვეტ ბარათებში იქნება აღნიშნული.

ბ) გამგეობა.

16) გამგეობას, რომელიც შვიდი კაცისაგან შესდგება, ირჩევს საზოგადო კრება სრულ-უფლებიან წევრთა რიცხვიდან 4 თვით.

17. საზოგადოების საშუალებანი.

17) საზოგადოების საშუალებებს შეადგენენ: ა) ერთ-დროული საწევრო გადასახადი საზოგადოებაში შესვლის დროს 50 კაპ. ბ) ყოველთვიური გადასახადი ჯამაგირის ერთი პროცენტით და გ) შემოწირულებანი და კერძო შემოსავალი.

შენიშვნა: ჩვიდმეტ წელზე უფრო ახალგაზდანი საწევრო ფულის ნახევარს იხდიან.

18) მთელი შემოსავლის სამი მეოთხედი ირიცხება გაფიცვის კაპიტალში და მეოთხედი (25 პროცენტი)—ჩვეულებრივ საჭიროებისთვის — მოსრავი კაპიტალი.

19) გაფიცვის კაპიტალის დახარჯვა გაფიცვის საბჭოს საქმეა და გაფიცვის დროს ხდება.

20) მოძრავ კაპიტალის დანიშნულებათა ხაზინებთან ბრძოლაში დახარალებულ წევრთა და მათ ოჯახის დახმარების გაწევა.

21) საწევრო ფული საზოგადოთ უკან არავის უბრუნდება.

IV. საზოგადოების საქმეთა რევიზია.

22) საზოგადოების თანხების, დოკუმენტების, წიგნების და ხარჯთ-აღრიცხვის გადასახილავათ საზოგადო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიის სამი წევრისაგან და აგრეთვე მათ კანდიდატებს 4 თვით, ისულ-უფლებიან წევრების რიცხვიდან. გამგეობის წევრი სარევიზიო კომისიის წევრათ არ ირჩევა. სარევიზიო კომისიის წევრები თავის რევიზიის შესახებ შენიშვნებს აკეთებენ განხილულ წიგნებში და მერმე თავის მოხსენებას უდგენენ მახლობელ საზოგადო კრებას.

23) სარევიზიო კომისიის ნება აქვს რევიზიას მოახდინოს საზოგადო კრების დავალებით, კავშირის ოცდა ათი წევრის წერილობითი მოთხოვნით და აგრეთვე თავის შეხედულებით, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

რ უ ს მ თ ი .

ჩვენ მივიღეთ შემდეგი მოწოდება:

ტფილისის ბეკლეთი საქმის მუშათა კავშირის მართვებობას.

ტფილისის ამხანაგები!

თქვენ უკვე იცით მოწოდებიდან საორგანიზაციო ბიუროს არსებობაზე, რომელმაც უნდა მოიწვიოს საერთო რუსეთის კონფერენცია ბეკლეთი საქმის მუშათა კავშირებისა*), თქვენ აგრეთვე იცით ამ ბიუროს მიზნებზე და საშუალებებზე. იმისათვის, რომ ამ ბიურომ ხეიროანად შეასრულოს ის საქმე, რომელიც მან თავს იღვა, აუცილებლად საჭიროა თქვენი დახმარება.

*) ბეკლეთი საქმის მუშებთ იგულისხმებიან მომუშავეები სტამბებში, ლიტოგრაფიებში, სლოვოლიტნიებში, საკაზნაებში, ცინკოგრაფიებში და სხვა ამგვარ წარმოებებში.

საორგანიზაციო ბიურომ რომ საცვებით შეიმუშაოს კონფერენციის დღის წეს-რიგი, მისი შემადგენლობა; რომ მოამზადოს მოხსენებები ყველა კითხვებზე, რომლებიც შეტანილი იქნება დღის წეს-რიგში, საქირია ბიუროსათვის პროვინციალურ კავშირების მდგომარეობის და ვითარების ცოდნა, საქირია თქვენი კავშირის არსებობის პირობების ცოდნა, საქირია ბიურომ იცოდეს—რას აკეთებთ თქვენ, რა არის უკვე გაკეთებული, რას აპირებთ გააკეთოთ ამ ახლო მომავალში, როგორ წყდება ესა თუ ის კითხვები. ყველა ამის ცოდნა ბიუროს მოქმედებისათვის აუცილებლად საქირია.

აუცილებლად საქირია ბიუროს მთელი რუსეთიდან მოსდიოდეს დაწერილებითი ცნობები ბექლდითი საქმის მუშათა კავშირების მდგომარეობაზე თითოეულ ქალაქში.

ამნაირათ, საორგანიზაციო ბიურო კონფერენციის მოწვევამდე გადიკტევა მთელი რუსეთის ცენტრათ.

ამ წერილში საორგანიზაციო ბიურო გისვამ თქვენ მთელი რიგს კითხვებისას. თქვენს პასუხებზეა დამოკიდებული საორგანიზაციო ბიუროს შემდეგი მოქმედება. იმ კითხვების პასუხი, რომლებზედაც ახლაზე შეგიძლიათ გვიპასუხოთ, გვაცნობეთ დაუყოვნებლივ; დანარჩენ კითხვებზე გვიპასუხოთ ახლო მომავალში, ყოველ შემთხვევაში—კი არა უგვიანეს კვირა ან კვირა-ნახევრისა. რაც უფრო სრულად და ჩქარა გვიპასუხებთ, მით უფრო მალე მოწვეულ იქნება კონფერენცია.

კითხვები შემდეგია:

1. რამდენი მუშა ირიცხება თქვენს ქალაქში ბექლდითი საქმის წარმოებაში.
2. როდის დაარსდა თქვენი კავშირი და ნება დართულია იგი თუ არა.
3. რამდენი წევრია ჩაწერილი კარშირი და რამდენი იხდის მუდმივ საწევრო გადასახადს.
4. რამდენი წევრისაგან შესდგება მართველობა; რამდენია თანამდებობის პირი და მათი ჯამაგირი.
5. არიან თუ არა წარმომადგენლები (არჩეულები) ცალკე დარგებში, არსებობს თუ არა წარმომადგენელთა ორგანიზაცია, ხდება თუ არა მათი კრებები.
6. ხდება თუ არა კრებები ფაბრიკებში.
7. ხდება თუ არა საზოგადო კრებები.
8. რამდენია ნაღდი ფული თქვენი კავშირის კასაში, აგრეთვე თვიური შემოსავალი და გასავალი.
9. რამდენია შესავალი და საწევრო გადასახადები.
10. ბექლდითი საქმის ყველა პროფესიები არიან შერატებული თქვენს კავშირში, თუ ცალ-ცალკე არსებობენ ასოთ ამწყობების, წიგნების დამკაზმავების, ლიტოგრაფებისა და სხვა კავშირები.
11. თუ არსებობენ ცალკე პროფესიების ორგანიზაციები, როგორია მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულება.
12. კავშირში არსებობს, თუ არა სექციებთ დაყოფა და როგორია ამ სექციების კასების დამოკიდებულება.
13. დანაწილებულია, თუ არა კასა რომელიმე სპეციალურ ფონდებთ, მაგალითად: გაფიცვის, უსაქმთ დარჩენილთა და სხვა ფონდები.
14. რამდენი გყავთ უსაქმთ დარჩენილები და როგორ იყოფიან იგინი ხელობით.
15. არსებობს თუ არა თქვენში უსაქმთ დარჩენილთა ორგანიზაცია, თუ არსებობს, კავშირთან-თუ უსაქმთ დარჩენილ საბჭოსთან.

16. არსებობს თუ არა უსაქმთ დარჩენილთათვის რაიმე დახმარება და როგორ არის იგი მოწყობილი.

17. იკრებება თუ არა ფული უმუშევრათ დარჩენილთათვის ცალკე დაწესებულებებში.

18. აქვს თუ არა გავლენა ბექლდითი საქმის მუშათა კავშირის მუშების ადგილზე დაყენებაში და რა ნაირათ.

19. გაქვთ თუ არა თქვენ შეთანხმება სხვა ახლო მყოფ კავშირებთან ამხანაგებისთვის საზღვარო დასახმარებლათ, თუ ამნაირ დახმარებას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

20. გქონდათ თუ არა თქვენ ამ უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში გაფიცვები, გვაცნობეთ მათი სიდიდე (საზოგადო თუ კერძო), ხანგრძლივობა, გამარჯვება და დამარცხება.

21. როგორ წარმოება გაფიცვები?—კავშირის დახმარებით თუ ცალკე.

22. რამდენი დახარჯა კავშირმა ამ გაფიცვებზე.

23. გქონდათ თუ არა თქვენ ლოკაუტები, როგორ გათავდა იგინი.

24. დაგეხმარათ თუ არა გაფიცვებისა და ლოკაუტების დროს სხვა ქალაქები, რამდენი დახმარება გაიწვიეს და რამდენმა კავშირებმა.

25. არსებობს თუ არა თქვენს ქალაქში ბექლდითი საქმის მუშათა კავშირის რაიმე ურთიერთ შორის დამხმარებელი კასები (საზოგადო ან ცალკე სტამბებში), თუ არსებობს—გამოგვიგზავნეთ მათი წესდებები, თან ავუწერეთ მაგ კასების მოქმედების ხასიათი.

26. რა დამოკიდებულება არსებობს თქვენს კავშირსა და კასებს შორის: შესაძლებელია თუ არა მათთან შეთანხმება, ან შეერთება; ცდილობს თუ არა თქვენი კავშირი რაიმე ნაბიჯთ გადადგას ამ მხრივ.

27. რა შეძლება აქვთ ამ საზოგადოებათა კასებს და ვისაგან შედგებიან მათი წევრები; არიან თუ არა მემბატრონები, რა პროცენტს შეადგენენ იგინი მუშებთან შედარებით.

28. არიან თუ არა თქვენი კავშირის წევრები საურთიერთო დამხმარებელ კასაში.

29. გაქვთ თუ არა რაიმე ყურნალი, ან უშვებთ ფურცლებს, თუ არც ერთი გაქვთ და არც მგორე,—როგორ იძლევეთ ანგარიშებს.

30. რაც თქვენი კავშირი არსებობს, იყვენ თუ არა თქვენი კავშირის წევრები დატყვევებულნი ან გაგზავნილები, თან გვაცნობეთ რაოდენობა.

31. აწესებთ თუ არა თქვენ ტორიფს.

32. სცნობენ თუ არა მემბატრონები თქვენს კავშირს.

33. გაქვთ, ან გქონდათ თქვენ მომრიგებელი კამერა.

34. არსებობს თუ არა კვირაობით დასვენება.

ველით ჩქარა პასუხს.

ამხანაგური საღამოს საორგანიზაციო ბიურო ბექლდითი საქმისა რუსეთის მუშათა კავშირების საერთო კონფერენციის მოსაწვევათ.

მთავრობა კავშირების დასანგრევათ ემზადება. რევოლუციუცია ხომ „მოსპო“ ჩვენმა მთავრობამ და ეხლა, თუ მუშათა კავშირებიც მოსპო, რუსეთის ბედს ძალი არ დაყვეს! სწორეთ მაშინ ჩამოვარდება მთელ რუსეთში „შშვილობა და კაცთა შორის სათნოება“. აღარც მთავრობის შეწყობება და აღარც ალა-ხაზინების. ყველაფერი ისე, ჩვენებურათ—ძველებურათ იქნება. ამას კი რალა ჯობია! ამისთანა კეთილი გან-

ზრახვანი ღმერთმა ნუ მოუშალოს ჩვენს მთავრობას. ან კი ვინ გაუმტყუნებს მთავრობას, თუ მუშათა პროფესიონალური კავშირები მას ძილს უფრთხობს. ამ კავშირებში ხომ „კრამოლნიკები“ არიან? ის ხომ „კრამოლნიკური“ დაწესებულებაა? შეერ ასეთ კრიტიკულ დროს, როცა დუმის არჩევნები კარზე გვადგია. ამ მოსახრებებით მთავრობამ მიყუ კავშირების განადგურებას ხელი. ადგის გრადონაჩლინიკმა აკრძალა კავშირების კრება. მოსკოვში განხორციეს კავშირის შენობა და დაიჭირეს მდივანი. ხურავენ კავშირების ორგანიზაციებს, იკერენ წიგნებს და სხვა. ასეთი ამბები პროვინციებშიაც ხდება. ჯერ ეს და შემდეგში უფრო მეტ სიმხნევებს გამოიჩენს მთავრობა კავშირების წინააღმდეგ ბძოლაში.

პეტერბურგის ნოქართა კავშირის პროექტი. პეტერბურგის ნოქართა კავშირის ამ დღეებში წერილობით მიუმართეს თავის წევრებისათვის, — გამოსთქვან თავიანთი აზრი პროექტის შესახებ. ამ პროექტში განსაზღვრულია სხვა-და-სხვა საეაქრო დაწესებულებებში სამუშაო დრო. გარდა სანოვავით საეაქროებისა, ყველა საეაქროებში სამუშაო დღე ათ საათს უნდა გრძელდებოდეს (მინისტრების მიერ დამტკიცებულ ახალი წესით-კი 12 საათს). სადილობის დროს ყველა საეაქროები სრულიად უნდა დაიკეტოს. კვირა-უქმე და თორმეტ საუფლო დღეებში ვაჭრობა-მრეწველობა სრულიად უნდა შეწყდეს. აიკრძალოს კვირა-უქმე დღეებში მავარ სასმელების გაყიდვა.

პროექტის მრავალ მუხლებში განსაზღვრულია ხაზინების უფლებები. მათ სასტაკათ ეკრძალებათ, — ჩაერიონ მოსამსახურეთა ეკრძო ცხოვრებაში. ნოქრებს უფლება ეძლევათ არ აასრულონ ხაზინების დავალება, უკეთუ ის სინდისიერ ვაჭრობას ეწინააღმდეგება. ნება ეძლევათ აგრეთვე არ აასრულონ ისეთი სამუშაო, რომელიც ვაჭრობას არ შეეხება, — მაგალითად, შინ სამსახური.

პროექტში განხილულია აგრეთვე ბინისა და სასმელ-საქმელის საკითხი. ვაჭრებს ეკრძალება ჯამაგირიდან დაუქიროს ფული ნოქარს, (ჯარიმა, შეწირულება და სხვა).

უკეთუ ხაზინი უმიზნოთ დაითხოვს ნოქარს სამი თვის ჯამაგირი უნდა მისცეს. ნოქარის დათხოვა თვით ნოქრების საქმეა. ავთომყოფობის დროს ნოქარს უნდა მიეცეს სამი თვის ჯამაგირი ადგილის შენახვით. ყოველ წლობით 2—4 კვირა დასვენება და სხვა.

პეტერბურგის ნოქართა კავშირი და სახელმწიფო დუმა. ამ დღეებში პეტერბურგის ნოქართა კავშირმა გამოუშვა ფურცელი, სადაც ის ამბობს. რომ აუცილებლათ საქიროა ნოქრებმა ენერგიული მონაწილეობა მიიღონ დუმის არჩევნებში.

არ ჩათვლება ნოქართა ინტერესების დამცველათ ის, ვინც მდგრათ არ დაიცავს დუმაში პროლეტარიატისა და მთელი რუსეთის ხალხის მოთხოვნისებებს, როგორც, მაგალითად, სრულ თავისუფლებას კრებისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კავშირებისა, გაფიცებისა და სხვა. უკეთუ არ განხორციელდა ყველა ეს თავისუფლება, ყოველდ შემუშდებელია შრომის კაპიტალთან ბრძოლის განვითარება და საზოგადოთ საწარმოვო ძალთა განვითარება რუსეთში. დაუყოვნებლივ დაწესებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე (საეაქრო-სამრეწველო დაწესებულებებში 10 საათის, — ორისა ათის დასვენებით). კვირა-უქმე დღეებში-კი მთელი დღით დასვენება.

შრომის ყოველი მხრით კანონით დაცვა, — რადგან მხოლოდ შრომის კანონით დაცვას შეუძლია უზრუნველყოს მუშის ჯანმთელობა, მხოლოდ მას შეუძლია გაამაგროს ის უფლებები, რომლებსაც მუშები მოიპოვებენ კაპიტალთან ბრძოლაში.

სრულ უფლებიანი წარმომადგენლობა, არჩეული საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით.

ნოქართა დელეგატების კომისიის კრება. 16 ნოემბერს მოხდა კრება პეტერბურგის ნოქართა დელეგატების კომისიისა. როგორც მოხსენებიდან გამოიკრვა, პეტერბურგის ნოქრები საზოგადოთ ენერგიულათ ეცილებიან საქმეს. ნოვო-ალექსანდროვის და აპრაქსინის მახრებში არსდება გაფიცების ფორმი. მოხსენების შემდეგ ზამოიტანეს რეზოლიუცია: „ნოქართა დელეგატების კომისია ნოქართა ყველა ორგანიზაციების ახლობელ მიხნათა სცნობს—1) ენერგიულ მომზადებას ათი საათის სამუშაო დღის დასამყარებლათ, 2) სანამ ეს სისრულეში მოვიდოდეს, ეცადონ, — აიძულონ ხაზინები დათმობის გზას დაადგენ და 3) ეცადონ გაამაგრონ ყველგან ორცვანთხაციები, რომ ისინი პირდაპირ ემსახურებოდენ ნოქართა პროფესიონალურ მიხანს.

სასტაკათ დამარცხებული ხაზინი. ქალაქ ვილნოში ფაბრიკანტ იანკოვსკის და ბრაუნს ღმერთი გაუწყრათ და მუშები გაფიცენ. გაფიცვის მიზეზი აქაც ის იყო, რაც ყველგან: ნაკლები სამუშაო ქირა და გრძელი სამუშაო დღე. მუშებმა მოითხოვეს ქირის მომატება და სამუშაო დროს ცხრა საათით განსაზღვრა.

ხაზინი აბა რის ხაზინი იქნებოდა, რომ თანხმა გამხდარიყო ამ მოთხოვნაზე. გაჯიუტდენ ალები. ეგონათ, გაეტყვათ გაფიცვასო, მარა მოსტყუდენ: მუშები სამ თვეს გაფიცული იყვენ და მედგრათ იდგენ თვითანთ მოთხოვნებზე.

ორივე ფაბრიკანტმა გადასწყვიტა: არამც და არამც არაფერი არ დაეთმოთ მუშებისათვის. იანკოვსკი უფრო შორს წავიდა, გამოაცხადა ლოკაუტი და ფაბრიკა დახურა, ბრაუნს თუმცა აზრათ არ ქონდა ამ უკანასკნელ საშუალებისათვის მიემართა, მარა ხათრი ვეღარ გაუტეხა კოლეგას (ამხანაგს) და მანაც გამოაცხადა ლოკაუტი.

მარა, ამან ვერ შეაშინა მუშები; მათ მტკიცეთ გადაწყვეტილი ქონდათ ბოლომდე მიეყვანათ საქმე და მომზადებული იყვენ.

გატყდენ ბოლოს ალები და გამართეს მოლაპარაკება მუშებთან. დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნები: შემოიღეს 9 საათის სამუშაო დღე, სამუშაო ქირას მიუმატეს და პირობა მისცეს გაფიცვისათვის არავის დაფითხოვთო. მარა ეგ არაფერი! საქმე იმაშია, რომ ფაბრიკანტებმა გაფიცვის დროს ქირაც გადაიხადეს, — იანკოვსკიმ ნახევარი და ბარაუნმა 75 პროცენტი — სულ სამი ათას რეასი მანეთი. ბრაუნმა უარი სთქვა ფულის გადახდაზე, რადგან ლოკაუტი იანკოვსკის ხათრიზა გამოვაცხადეო და ეს ფულები მთლათ იანკოვსკის გადახდა. ასევე დამარცხდენ ვილნების ფაბრიკის ხაზინები — ჰოპი, გელფმანი და ლიფშიცი. მათაც გაფიცენ მუშები და დამარცხეს. გაფიცვის დროს სამი ათასი მანეთი გადაიხადეს. აშკარაა, შეგნებული და სოლიდარული გაფიცვა ყველა ხაზინის გასტეხს.

საზღვარ-გარეთ.

საფრანგეთი.

ორი სივხდი *)

კლასთა წინააღმდეგობის განვითარებამ საფრანგეთში იმ წერტილამდის მიადწია, რომ მდიდარი ერთმანეთში ბრძოლამ ძალა-უფლებისათვის დაპყარვა მნიშვნელობა და პირველი ადგილი დაიკირა პროლეტარიატის ბრძოლამ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. დღეს უმეტესი პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლევა პროლეტარიატის ძალების გაერთიანებას. პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციების ურთიერთობრივ დამოკიდებულებას, თუ ეს საკითხი საქმათ არ გადაწყდა, პროლეტარიატი ყოველთვის იკოკლებს ხან ერთსა და ხან მეორე ფეხზე, და შეიძლება; იკამდისაც მივიდეს, რომ თვითონ თავის-თავს გამოსდოს სარმა.

საფრანგეთის მუშათა პროფესიონალური კავშირები, „შრომის საყოველთაო კონფედერაციაში“ შეერთებულნი, წევრთა და ქონების რაოდენობით ვერ შეედრება გერმანულ და უფრო მეტათ ინგლისურ კავშირებს. სამაგიეროთ მათ უფრო რევოლუციონური სული უდგიათ, ვინემ გერმანულ და ინგლისურ კავშირებს. მათი წინამძღოლები სოციალურ რევოლუციას პირველ ადგილს უთმობენ. ამ იდეოლოგიის ნაკლს შეადგენს არა ოპორტიუნიზმი, არამედ გადამეტება ეგრეთ წოდებულ „პირდაპირ მოქმედების“ მნიშვნელობას, რომელიც ძალიან ამკირებს და, შეიძლება ვთქვათ, სულაც უარ-ჰყოფს დღევანდელ პოლიტიკურ დაწესებულებათა მნიშვნელობას პროლეტარიატისათვის, ესე იგი, უარ-ჰყოფს პარლამენტარულ ბრძოლას.

„პირდაპირი მოქმედების“ პრინციპი მითია კარგი, რომ ყოველთვის აგონებს პროლეტარიატს, რომ მისი განთავისუფლება შეუძლიან მხოლოთ თვითონ მას და არა ამა თუ იმ წარმომადგენელს; ის უთითებს კიდევ იმაზე, რომ პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის საჭიროა კაპიტალის ექსპროპრიაცია და, მამსადამე, დღევანდელ პოლიტიკურ დაწესებულებებს, რომელნიც კაპიტალის მიერ შექმნილი არიან, არ შეუძლიათ გადაიქცენ ორგანოთ ამ ექსპროპრიაციისა. „პირდაპირი მოქმედების“ იგივე პრინციპი ნათლათ უზენებს მუშებს, რომ დღევანდელი პოლიტიკური დაწესებულებები, როგორც წარმოშობილი კაპიტალისტური წესწყობილების ნიადაგზე, შექმნილი მისი მიზნების მისაღწევათ, საუკეთესო იარაღია და ყოველთვის კარგს სამსახურს უწევს ბურჟუაზიას, და ამიტომ საჭიროა ხელიდან მისი გამოგლეჯა. ამ ფაქტის დაეწყება და „პირდაპირი მოქმედების“ მნიშვნელობის გადამეტება ხელს უშლის სინდიკატებს შესაფერათ დააფასონ სოციალისტური პარტიების პოლიტიკური მოქმედების მნიშვნელობა. მეორე მხრივ, სოციალისტების მიერ პარლამენტარიზმის მნიშვნელობის გაზვიადება იწვევს მათში „პირდაპირი მოქმედების ათვალისწინებას. ასეთი ერთმანეთის გაუგებარება ხელს უშლის სინდიკალისტებს და სოციალისტებს ერთათ იმოქმედონ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ერთმანეთის გაუგებარება და შუღლი თანდათან ადგილს უთმობს ორივე მხრის ერთმანეთ შორის კეთილ-განწყობილებას. ამაში გვარწმუნებს ჩვენ კამათი და გადაწყვეტილებანი უკანასკნელად საფრანგეთში მომხდარ ორი სივხდისა. საფრანგეთის სინდიკალისტებისა (ამიენში) და სოციალისტური პარტიისა (ლიმოჟში).

რტიისა (ლიმოჟში). ერთათ მოღვაწეობა-მოქმედების დრო გერ კიდევ შორის არის, მაგრამ ძველმა ერთმანეთისადმი სიძულვილმა ადგილი დაუთმო კეთილ-განწყობილებას.

ამიენში თითქმის ერთხმით (824 ხმით, წინააღმდეგ 3-სა მიიღეს შემდეგი რეზოლუცია:

„ამიენის სინდიკალთა სივხდი აღიარებს კონფედერაციის წესლების § 2-ს, რომელიც ამბობს: „კონფედერაცია აერთებს; გარეშე ყოველგვარ პარტიისა, ყვილა მუშებს, რომელთაც შეეგნეს ბრძოლის აუცილებლობა დაქირავებული შრომის მოსასპობათ“. სივხდი ამ სიტყვებით აღიარებს აუცილებლობას კლასთა ბრძოლისა, რომელიც ეკონომიურ ნიადაგზე აერთებს ყველა მუშებს, წინააღმდეგ კაპიტალისტების მიერ მუშების ექსპლოატაციისა, მატერიალურ და მორალურ შევიწროებისა. ამ სიტყვებს სივხდმა თავის მხრივ შემდეგი პუნქტები მიუმატა: „სინდიკალიზმი ცდილობს ყოველდღიურ ბრძოლაში გადააკავშიროს მუშები და გააუმჯობესოს მათი მატერიალური მდგომარეობა სამუშაო დროს შემოკლებით, სამუშაო ქირის მომატებით და სხვა. მაგრამ, ეს მოქმედება არის მხოლოთ ერთი მხარე სინდიკალიზმისა. იგი მიილტვის მუშათა კლასის საბოლოო განთავისუფლებისაკენ, რომელიც შესაძლებელია მხოლოთ კაპიტალის ექსპროპრიაციით. სივხდი აღიარებს ბრძოლის იარაღათ საერთო გაფიცვას და დარწმუნებულია, რომ სინდიკატი, რომელიც დღეს მხოლოთ თავის დაცვის კავშირია, მომავალში გადაიქცევა წარმოებისა და განაწილების კავშირათ და სოციალისტური გარდაქმნის საუქმელად შეიქნება. სივხდი აღიარებს, რომ ორგანიზაციის მიხედვით—აწყოსა და მომავლისათვის—გამომდინარეობს დაქირავებულ შრომიდან, რომელიც მძიმეთ აწყეს მუშათა კლასს და მოვალეთაღის ყველა მუშას, როგორც უნდა იყოს მისი პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულება,—მიემხროს მისთვის უსაჭიროეს ორგანიზაციას, როგორცაა სინდიკალისტების ორგანიზაცია. სივხდი აღიარებს სრულ თავისუფლებას სინდიკალისტებისათვის—მონაწილეობა მიიღონ სინდიკალის გარეშე ყოველნაირ ბრძოლაში, რომელიც შეეფერება მათ ფილოსოფიურ და პოლიტიკურ შეხედულებას, მხოლოთ იმ პირობათ, რომ მათ სინდიკატებში არ უნდა შეიტანონ ის შეხედულება, რომ გამომატეცენ და წარმომადგენელნი ისინი არიან სინდიკატების გარეშე. სივხდი აღიარებს, რომ ბრძოლის წარმატებისათვის საჭიროა ბრძოლა ეკონომიური, პირდაპირ ხაზინების წინააღმდეგი. სინდიკატებს, როგორც კონფედერაციის ორგანიზაციაში შემოერთებულთ, არავითარი საქმე არა აქვთ პარტიებთან და სექტებთან, რომელნიც დღან მათ გარეშე და მათ გვერდით, მათ შეუძლიათ თავისუფლათ იბრძოლონ სოციალური გარდაქმნისათვის“. როგორც ჩანს ამ რეზოლუციადან, სინდიკატები აღიარებენ მუშათა საბოლოო განთავისუფლებისა და წარმოების პლანიზირათ მოწყობისათვის პირველათ, კლასიურ ბრძოლას, მეორეთ, კაპიტალის ექსპროპრიაციას; მაგრამ უარყოფენ—იქონიონ რაიმე საქმე სოციალისტურ პარტიასთან და თავის მოქმედებას საზღვრავენ პირდაპირი ეკონომიური ბრძოლით. ამავე დროს იგი თავისუფლებას ანიჭებს თავის წევრებს—მიიღონ მონაწილეობა სოციალისტურ პარტიაში: უკანასკნელის-კი ე. ი. სოციალისტურ პარტიის უფუნდად აღიარებს—გარდაქმნას თანხმად თავის რწმენისა დღევანდელი წესწყობილება. სოციალისტურ პარტიისათვის, რასაკვირველია, ასეთი ეკეთილმზურველი ნეიტრალიტეტი არ არის საკმარისი, მას სურს ერთათ მოქმედე-

*) „Вѣстникъ жизни“, № 13.

ბა და არა განცალკევებულათ. მაგრამ, რადგანაც ერთმანეთ შორის გაუტეხრობა სუფევს, ერთათ მოქმედებაც შეუძლებელია. ლიბოკში თვით სოციალისტებიც ვერ შეთანხმდნენ ერთ ფორმულაზე, რომელშიაც გამოხატული უნდა ყოფილიყო სასურველი დამოკიდებულება სინდიკალისტებისადმი. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ სინდიკალისტებს უნდათ მხოლოდ დღევანდელ ეკონომიურ პირობებში გააუმჯობესონ მუშათა მდგომარეობა, და არა სამუდამოთ გაანთავისუფლონ იგი, თუმცა ზემოთ მოყვანილი სინდიკალისტების რეზოლიუცია საქმარისათ არღვევს ამ აზრს. გეგმა წამოაყენა შემდეგი რეზოლიუცია: „ჭიღებთ რა მხედველობაში, რომ ერთი და იგივე კლასი, ერთი და იგივე პროლეტარიატი ერთდება და მოქმედობს სინდიკატებით—პროფესიონალურ სფერაში, სოციალისტურ პარტიით—პოლიტიკურ სფერაში, და რადგანაც ორივე ეს სხვა-და-სხვა-ნაირი ორგანიზაცია, რომელნიც კადვეცა უნდა დარჩენ სხვა-და-სხვა ორგანიზაციებათ თავის მიზნითა და საშუალებით, არ შეუძლიათ უარყონ ერთმანეთი, ან იმოქმედონ ერთმანეთის წინააღმდეგ. მოუწოდებთ კონფედერაციას, — შეუთანხმდეს პარტიის საბჭოს; ამავე დროს საერთო ორგანოთ შეიძლება მიღებულ იქნას მუდმივი, ან სპეციალური დელეგაცია“. ამ ფორმულას ხმა მისცა 130 კაცმა. ჟორჯის ფორმულა, რომელიც აღიარებს საერთო ვაფიკცას, უჩვენებდა, რომ მუშათა საბოლოო განთავისუფლებისათვის საჭიროა სინდიკალური და პოლიტიკური მოძრაობა, რომ მათ ერთნაირი უფლება აქვთ და მიზანიც ერთი და იგივეა, და ურჩევდა, მოესპოთ ყოველივე უთანაშობება ერთმანეთში, რომ უფრო იოლათ და უკველათ მომხდარიყო თავისუფალი შერთება სინდიკალისტებთან, — მიიღო 148 ხმა. ამ ორი ფორმულის შესათანხმებლათ იყრა დანიშნული კომისია, რომელმაც თავის მიზანს ვერ მიაღწია; ვერ შეაერთა შეუერთებელი. ამავე კითხვას, სინდიკალურ მოძრაობასთან დამოკიდებულებას, არა ნაკლები ყურადღება მიაქცია ლიბოკის სიგზდმა. პარტიის დამოკიდებულება კლემანსოს ახალი სამინისტროსთან წინათვე ცხადი იყო. ამ რადიკალურ-სოციალისტურ სამინისტროსთან პარტიას ისეთივე დამოკიდებულება ექნება, როგორც საერთოთ ყველა ბურჟუაზიულ სამინისტროსთან, თუმცა მინისტრთა რიცხვში ორი „დამოუკიდებელი სოციალისტი“. მათ მოქმედებაზე პარტია, რასაკვირველია, პასუხს არ ავებს და არც სცნობს მათ სოციალისტებათ. პარტია ეცდება „სოციალურ რეფორმებს“ დაუპირადპიროს თავისი სოციალისტური პროექტები. პარტია მხოლოდ მისთანა რეფორმებს დაუჭერს მხარს, რომელნიც მუშათა მდგომარეობას მართლა გააუმჯობესებენ. ამავე დროს პარტია ეცდება, რომ „სოციალური რეფორმატორები“ აიძულოს წარმოსთქვან ყოველივე თავიანთი გულის-ნადები. ანტი-მილიტარისტის გერვის წინადადებას—ჯარის საერთო გაფიცვისა დაჯანყების შესახებ, მომხრენი არ გამოუჩნდნენ. გელი ცდილობდა აეხსნა ანტიმილიტარისტებისათვის, რომ დღევანდელი ომი აუცილებელი შედეგია დღევანდელი კაპიტალისტური წარმოებისა და, რომ, პირველის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მოისპობა ყოველივე ნაშთი კაპიტალისტური წესწყობილებისა. მაგრამ, გელის შეხედულება სიგზდს, ცოტა არ იყოს, ფანტასტიკურათ მოეჩვენა, ვალანის წინადადების თანახმათ გადაწყდა მთელი ქვეყნის სოციალისტურ პარტიების შემწეობითა და დახმარებით აიცილონ თავიდან ომი. ომის თავიდან ასაშორებელ იარაღებისა და საშუალებების გამოძებნას შეუდგება შემოდგომაზე

საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი. სოციალისტურ პარტიების გავლენის უმნიშვნელობა თავიანთ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე გელის „ეუტალიზმს“ ამართლებს.

რა არის უმუშევრობა?

უმუშევრობა ჩვეულებრივი მოვლენაა კაპიტალისტურ წარმოების დროს. მაგრამ, ის ხან კლებულობს; ხან საოკრათ მატულობს იმის და მიხედვით, თუ როგორი მდგომარეობაა ბაზარზე და წარმოქმნი. დაქირავებული მუშის დამოკიდებულება ბაზარზე ისეთივეა; როგორც ყველა სხვა ვასასყიდ საქონლისა; ისიც იმავე კანონებს ემორჩილება, როგორსაც სხვა საქონელი. აქედან ცხადია, თუ ბაზარზე მუშა ხელს მეტს თხოვლობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოება იზრდება, მატულობს; ფაბრიკა-ხავოდებში აუარებელი ზაქაზები მიდის, რომელსაც ჩქარი დამზადება უნდა; ამის ამსრულებლათ-კი მუშა საჭირო, — მაშინ უმუშევართა რიცხვი კლებულობს. თუ წარმოება ეცემა — კლებულობს, უკვე დამზადებულ საქონლებით ავსებულაა ფაბრიკა-ხავოდების საწყობები და ახალი ზაქაზები თითქმის სრულიად არ შემოუღობთ, — მაშინ; ერთის მხრივ, შეჩერებულ ფაბრიკა-ხავოდებიდან აუარებელი მუშა აწყდება ბაზარს; მეორე მხრივ, ბაზარზე მუშა ხელს არავინ არ თხოვლობს. — მაშინ უმუშევრობა უმუშევრალეს წერტილს აღწევს. ამ უკანასკნელ მდგომარეობას წარმოებისას „ეკონომიური კრიზისი“ ეწოდება.

ჩვენში, რუსეთში, დღეს არა მარტა ეკონომიური, არამედ დიდი და ღრმა პოლიტიკური კრიზისიცაა. ჩვენში დღეს ისეთი დიდი რევოლუციაცაა; რომელსაც თავის მნიშვნელობით საფრანგეთის დიდი რევოლუცია თუ შედარება. ჩვენმა რევოლუციამ ღრმა ცვლილება უნდა შეიტანოს ჩვენს ცხოვრებაში და ვაკაფოს გზა ახალი ცხოვრებისათვის, შრომის სრულ ბატონობისათვის — სოციალიზმისათვის. აქ იბრძვის ძველი და ახალი, ყველანი, განურჩევლათ მდგომარეობისა. რევოლუციამ ჩაიარა ბრძოლაში ერთნი, როგორც ახალი წყობილებისათვის მებრძოლნი და მეორენი, როგორც არსებული წყობილების დამცველნი. ამ საყოველთაო ბრძოლამ სრული ანარქია შეიტანა ეკონომიურ ცხოვრებაშიც. შეჩერდა წარმოება ქალაქში და სოფელში, აუარებელი უმუშევრებით აივსო პირველიც და მეორეც. შიმშილობა სოფლათ და ქალაქებში, ათასობით და ათი-ათასობით უმუშევრები დაძრწიან და, სამუშაოს შიენაში იმედ დაკარგულნი, შიმშილისაგან წელში გაწყვეტილნი, უკიდურეს საშუალებას ხმარობენ — ქურდობენ, ყაჩაღობენ, მკვლელობას ჩადიან და ამნაირათ საველე სასამართლოს მსხვერპლათ ხდებიან, ან რუსეთის ქალაქების გაყინულ ქუჩებში სულს ლევენ.

სოფლებში შიმშილისაგან ადევლებულ გლეხებს მთავრობის „დამსჯელი რაზმები“ საზიზღარის სისასტიკით აწიოკებენ, არბევენ... საუკეთესო — ცოცხალი ელემენტები ვარბიან ქალაქებში თავის დასახვევათ და ამბავლებენ უმუშევართა რიცხვს. უმუშევრობა დღითი დღე იზრდება...

ბოლოს უმუშევრობა ისეთ საგრძნობელ გავლენათ გადაიქცა, რომ მიიქცია ყურადღება სულ სხვა-და-სხვა მხრიდან. შეუძლებელი იყო, რომ ამ გავლენისათვის არ მიექცია ყურადღება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც არიან დაქირავებულ მუშათა, პროლეტარიატის, ინტერესების გამომხატველნი — მუშათა პარტიას და პროფესიონალურ კავშირებს. ამათ შეეცადნენ უმუშე-

ვერების ორგანიზაციულად შეკავშირებას და რამდენსამე ადგილას, მაგ. პეტერბურგში, მოსკოვში და სხვ. უმუშევართა მასისი დიდი ნაწილი ერთდებიან „უმუშევართა საბჭოებში“ და უცვლელად აყენებენ ერთგვარ მოთხოვნას—„სახოგადო მუშაობის“ მოწყობას.

რა არის საზოგადო მუშაობა? შეუძლია მას მოსპოს უმუშევრობა?

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშა ცხოვრობს სამუშაო ძალის გაყიდვით; ის ექირაება კაპიტალისტს. ამგვარად ნაშრომ ფულთი ის ცხოვრობს. თუ მან თავისი სამუშაო ძალა არ გაყიდა, არ იმუშავა, ისეთ მას ცხოვრება არ შეუძლია, უმუშევრები თავის სამუშაო ძალას ვერ ჰყიდიან, ამის მუშტარს ვერ შოულობენ, მაშასადამე, ფულსაც ვერ იღებენ—სცხოვრების სახსარი ეკარგებათ. ან მუშაობა, ან სიკვდილი... ისინი თხოულობენ სამუშაოს. ეს მოთხოვნა მიმართულია მთელი საზოგადოებისადმი და უმუშევრები პასუხსაც საზოგადოებრივ დაწესებულებიდან თხოულობენ. ამ დაწესებულების-მიერ უმუშევართათვის მოწყობილ მუშაობას ჰქვია „საზოგადო მუშაობა“. რა თქმა უნდა, საზოგადო მუშაობა უმუშევრობას ვერ მოსპობს, ვერც შეასუსტებს, მაგრამ საგრძნობელ დახმარებას მაინც გააუწევს ზოგიერთ უმუშევრებს და ააცდენს მათ სიმშვილთი სიკვდილს.

ამიტომაც, ყველგან საზოგადო მუშაობის მოწყობას თხოულობდენ ქალაქის თვითმმართველობისაგან. უმუშევრები თხოულობდენ „სამუშაოს—ჰურისათვის“. ბევრ ადგილას, ორგანიზაციულად შეკავშირებულ უმუშევართა ზეგავლენით, ქალაქის თვითმმართველობანი იმტულებულნი გახდენ—მოეწყობთ „საზოგადო მუშაობა“. მაგრამ, ეს გრძელდებოდა მანამდის, სანამ შეეძლოთ უმუშევრებს ქალაქის თვითმმართველობათა წინ დგომის ტაციების მოხდენა. ასე იყო თითქმის ყველგან, ასე მოხდა აქ, თბილისშიაც.

მეორე მხრივ, უმუშევრობამ მიიქცია მთავრობის ყურადღებაც; და იმდენათ მეტ ყურადღებას იქცედა ის, რამდენათაც უფრო მჭიდროთ შეკავშირებული იყუობოდენ უმუშევრები თავის მოთხოვნების გასატანათ. მთავრობა ყველანაშე უფრო „რადიკალურათ“ სწყვეტს ამ ვეებერთელა სოციალურ საკითხს. მას არ მოსწონს უმუშევრები, როგორც უსიამოვნო ელემენტები; მათში ის ხედავს სხვაზე უფრო თავგამოდებულ თავის შეურიგებელ მტერს; იმათი ორგანიზაციულად შეკავშირება და მათი ზურგის გამამაგრებელი მუშათა პარტია და პროფესიონალური კავშირები მას ძილს უფრთხობს და ამიტომ მთავრობა ასე სჭრის კითხვას: უმუშევრობა არ არის, უმუშევრები არ არსებობენ; არიან ზარმაკები, მაწანწალები, ისინი უნდა გაიგზავნოს თავიანთ სამშობლოშიო. მთავრობა ერთ ქალაქიდან ერეკება უმუშევრებს და ადმინისტრაციული წესით გზავნის... მეორე ადგილას; იმ ადგილებიდან გადასახლებული უმუშევრები ისევ პირველ ქალაქს აწყდებიან... ჰო, მთავრობა „რადიკალურათ“ სწყვეტს საკითხს!.. მაგრამ, როგორც ხედავთ, ის რადიკალური საშუალება უმუშევრობას არ სპობს, უმუშევართა რიცხვს არ აკლდება. პირიქით, უმუშევრებს უმატებს ტანჯვა-წვალებას. მთავრობა დამწვარზე მდულარეს ასახმს.

ი. ბ.—მე.

„შრომის მირჩევა“ და ქალაქის თვითმმართველობა.

სოციალური მოვლენა—უმუშევრობა, იმ თავიდანვე თანდაპყვე კაპიტალისტურ წარმოებას. კაპიტალისტურ წარმოებაში დაჭირავებული მუშა მუდამ იმ შიშის-ქვეშ ცხოვრობს,

რომ ვაითუ სამუშაოდან დაითხოვონ და ხვალდან ულუკმაპუროთ ქუჩებში წანწალი დასჭირდეს. ის არ არის უბრალოდ ველ-ყოფილი მომავალში, რადგან მას არა აქვს შვილი-ღიასათვის მოგროვილი კირნახული. უსაქმოთ დარჩენა მას ყოველწუთს ელანდება, როგორც გამუდმებული შიმშილ-სიცივე, ასა და ათასს მასავით უმუშევრებთან ერთად ფაბრიკა-ქარხნების კარებთან დილიდან საღამომდე ტყვილა უბრალოთ ცდა, შემდეგ მათხოვრობა, დამცირება ან შიმშილით სიკვდილი.

უმუშევრობა ერთი უდიდესი წყლულია მუშათა კლასის სხეულისა და, რა-რომ ადგება მუშა კლასიურ შეგების გზას, ის ცდილობს უმუშევრობის აუტანელი ტყვილები, რამდენათაც შეიძლება, შეამციროს.

მუშებმა დიდი ხნის ქაპან-წყეტისა და გამოცდილების შემდეგ შეიგნეს, რომ მათ საერთო გაჭირვებას მხოლოდ შეერთებული, ერთმანეთთან შეკავშირებული მოქმედება უშველის. მათი გაჭირვება-დაბეჩავება ვაიოხსატება არა მარტო იმ მოვლენაში, რომელსაც ჰქვია უმუშევრობა; არა, მას ბევრი გასკიბი აქვს; ბევრი უბედურება უნდა აიცილიოს თავიდან. ამ საერთო საქმისათვის შეგნებული მუშები უკავშირდებიან ერთმანეთს და იმისდა მიხედვით, თუ რა განსაკუთრებული ხასიათი აქვს მათ შეერთებას—აარსებენ პოლიტიკურ პარტიას, ან პროფესიონალურ კავშირებს, ან ერთსაც და მეორესაც... პირველის საბრლოო მიზანია—პროლეტარიატის დიქტატურა, კაპიტალისტური წარმოებისა და კერძო საკუთრების სოციალისტურ წარმოებად გადაქცევა, ერთი სიტყვით, შრომისსრული განთავისუფლება საკუთრებისა და კაპიტალიზმისაგან—სოციალიზმის დამყარება. პროფესიონალურ შეერთების მიზანია—არსებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომის პირობების გაუმჯობესება, მუშების ნივთიერათ და ზნეობრივათ ამაღლება. ორივე აუცილებელ საქიროებას წარმოადგენს მუშათა კლასისათვის... ორივე მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს ემსახურება და ერთი მეორის დამატებაა; ეს მხოლოდ ორი მხარეა ერთ და იმავე საერთო საქმისა.

როგორც ზევითა ვთქვით, უმუშევრობა დიდი უბედურებაა მუშებისათვის და იმის თავიდან აცდენა საჭიროდღო კითხვათაა გადაქცეულია მუშათა შეგნებულ ნაწილში. მარა, ამათ კარგათ იციან, რომ უმუშევრობის მთლად მოსპობა, სანამ კაპიტალისტური წარმოება რჩება—ტყუილი ოცნებაა. მათ ისიც ძლიერ კარგათ შეიგნეს, რომ შეკავშირებულ მუშების სოლიდარულ მოქმედებას ძლიერ ბევრი შეუძლია გააკეთოს არსებულ პირობებშიაც, ამის დამატკიცებელი საბუთები მათ უთვალავი აქვთ.

ამიტომ, არც ერთი პროფესიონალური კავშირი არ დაარსებულა არსად ისეთი, სადაც უმუშევრებზე ზრუნვა არ ყოფილიყოს ერთ უმთავრეს მიზნათ აღიარებული. გერმანიის მუშათა მოძრაობა, როგორც პოლიტიკურ სფერაში, ისე პროფესიონალურებშიაც, სამავალითოა მთელი ქვეყნის მუშათათვის და, ამიტომ, საჭიროა მოვიყუენოთ გერმანიის პროფესიონალურ კავშირების მეორე კონგრესის რეზოლიუციის ის ადგილი, რომელიც შეეხება უმუშევრებს:

„...გერმანიის პროფესიონალურ კავშირების შეარე კონგრესი უმუშევრებზე ზრუნვისადიარებს ერთ უდიდეს და აუცილებელ საშუალებათ პროფესიონალურა კავშირების გასვითარებაათ; ამასთანავე ასეთი ზრუნვა სრულად არ წინასაღმდეგებია კავშირების კლასიურ და ბრძოლის ხასიათს. ამისათვის კონგრესი წინადადებას აძლევს პროფესიონალურ კავშირებს, —სადაც-კი მართებები ხელს ქუეყანაქ, მააწიოს

უშუაგვრების დახმარება“. მაშასადამე, პროფესიონალური ორგანიზაცია ის მუშათა ორგანოა, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს უშუაგვრებზე ზრუნვა. სხვა-და-სხვა სახელმწიფოების სხვა-და-სხვა პროფ. კავშირები ბევრნაირ საშუალებებს ხმარობენ იმათ დასახმარებლათ. მაგრამ, ამ საშუალებათა შორის არის ერთი ისეთი, რომელიც ყველა სახელმწიფოების პროფესიონალურ კავშირებშია შემოღებული, — ეს არის შრომისპირაჟი, ანუ ისეთია დაწესებულება, რომელიც შევლის უსაქმიო დარჩენილ მუშებს სამუშაოს ძებნაში.

ებლა იბადება კითხვა: რანაირათ უნდა მოეწყოს „შრომის ბირჟა“? ცალ-ცალკე პროფესიებში, თუ რომელიმე საწარმოვო რაიონში ერთი? ცალკე პროფესიის მხოლოდ მაშინ შემოღობა თავისთვის მოაწყოს „შრომის ბირჟა“, როცა ის ძლიერია, როგორც ორგანიზაციულათ, ისე ქონებრივათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა, რომ ამ საქმის მოწყობა მიიღოს თავის თავზე რომელიმე რაიონის სხვა-და-სხვა პროფ. კავშირების შემადგენელმა ორგანომ — კავშირთა უქმარათაგანმა ბიურომ, ან, როგორც ჩვენში დავრქვა, — მუშათა შრომისპირაჟი დაწესებულება. მხოლოდ შეერთებული ძალით შეიძლება ამ საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენება.

მაგრამ, აქ ხაზინები გვეტყვიან: პროფესიონალურ კავშირების ხელში „შრომის ბირჟა“ საბრძოლველ იარაღათ გახდება, — ის ჩვენ წინააღმდეგ იქნება მომართული და რა სულელებათ დავცასათ, რომ ჩვენს მოსისხლე მტრებს — მუშებს, ხელი შეუწყუთ და თქვენი რეკომენდაციით მუშებ მოსამსახურენი მივიღოთ! არა, მავისთანა დაწესებულებებს ჩვენ თვითონ ვებრძვით და ვეცდებით — მათ, რაც შეიძლება, მალე მოვლოს ბოლო... ამ შემთხვევაში რანაირათ შევიცინოთ თავიდან ხაზინებთან კონფლიქტი, რომელმაც, შესაძლებელია, „შრომის ბირჟის“ მოქმედება ამ თავითვე შეწყვიტოს? ამ კითხვას ყველაზე უფრო სწორათ პრაქტიკა ვადასწყვეტს. მაშალუცალოთ მას.

ბ. ბ. — მუ.

შ ე მ ო . წ ი რ უ ლ ე ბ ა .

აშხ. ბესარიონ დვალისაგან ჩვენ მივიღეთ გამოსაცხადებლათ შემდეგი: რაჭოში დაქვრილ აშხ. დანიელ. რაზმაძის სასარგებლოთ, რომელიც ამაჟამათ ქუთაისის ციხეში იძყოფება, ბესარიონ დვალმა შეაგროვა 45 მ. და 55 კაპ., რომელიც ჩაბარდა აშხანგ დანიელს, 15 ნოემბერს. შემომწირველთა სია:

- სასტუმრო „პურ-ღვინოდან“ 3 მ. 40 კ., ბესარიონ დვალი 3 მ., სიმონ ცხველიანი 2 მ., ეფრემა ვოლოკოვი 1 მ. 70 კ., ვასო კოგოშვილი 1 მ. 20 კ., ისიდორე ხმელიძე 1 მ., ვლასტი დვალი 1 მ., დომენტი კიკვაძე 1 მ., ალექსი მერტრეველი 1 მ., დიმიტრი გიორგობანიანი 1 მ., ლევანტი ლობილაძე 1 მ., ნიკოლაი ენეარაძე 1 მ., ლევან კორინთელი 1 მ., მიხა ნაცვლიშვილი 1 მ., ტრიფონ პატარიძე 1 მ., სანდრო ბუგიაშვილი 1 მან., დათიკო მხეიძე 1 მ., გერასიმე 1 მ., ვასილ 1 მ., პავლე დვალი 1 მ., გაბო ზალაშვილი 1 მ., თომა ტყიბუჩავა 1 მ., გრამიტონ 60 კ., ავტიტე 60 კ., ნიკო თინაშვილი 50 კ., დათიკო ჯუახაძე 50 კ., თაღობ დვარელი 50 კ., სპირიდონ გაგინძე 50 კ., ზაქარ ყვალაშვილი 50 კ., თედო გაგაშვი 50 კ., ლევან ზურიაშვილი 50 კ., ერნალი კალანაძე 50 კ., არტემ კობახიძე 50 კ., სიმონ გურგენიძე 50 კ., პავლე რაზმაძე 50 კ., ვალაქტიონ გამარულიძე 50 კ., კოსტა იაშვილი 50 კ., მიხაილ დამიანი 50 კ., ლუკა პატარიძე 50 კ., ილიკო გაბირკანელი 50 კ., კოსტა ბერიშვილი 50 კ., ლასო პატარიძე 50 კ., დიანოს ბენდიანიშვილი 50 კ., მიხეილი 50 კ., ალექსი ქართველიშვილი 50 კ., გრიჭურა 50 კ., ილიკო საბანაძე 40 კ., ერასტი ხმელიძე 40 კ., ლუკა ეფგერაძე 30 კ., ეფრემ ბერმენიშვილი 30 კ., გიორგი ეშკვარაძე 30 კ., ვარლამ ჯაფარიძე 30 კ., ვასილ გვენცაძე 25 კ., მიხა 25 კ., შინა ყრვალ ძე 25 კ., ვინე 20 კ., ოსებ დვალი 20 კ., არჩილ ხომსურაძე 20 კ., ისიდორე დათეშიძე 20 კ., რემანო ხომსურაძე 20 კ., ვანო სიმუხაძე 20 კ., ბიჭიკო იონესიანი 20 კ., მალაქია სიცილაძე 20 კ., გიორგი ომაშვილი 20 კ., გაბრიელ კობახიძე 20 კ., ტრიფონ გოგვაშვილი 10 კ., ვალაქტიონ არჩუაძე 10 კ. და იაკობ ხაჩატურაძე 10 კ.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ზ ა ნ ი .

პირველი კერძო სამკურნალო
მ ა მ ი მ ი ს

ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ის ა

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონოვის ქუჩის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ :

- ბ. ბ. ნაჰასარღიანი: 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი) და საზრდ. ავად.
- ჟ. მ. ჩიძოშვილი: 9 ნახევ.—10 საათ. თვალის, შინაგან და ნერვების ავადმე.
- ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობა.
- ბ. მ. აგვიტინიანი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავადმე.
- ქ. ი. გჰელიშვილი: 11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
- ქ. მ. ქარაპეტიანი: 1—1 ნახევ. ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.
- ბ. ი. შამრინიანი: 1 ნახ.—2 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
- ბ. ი. შურაგინიანი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

ს ა ლ ა მ ო ბ ი თ :

- ბ. მ. პუზინიანი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყველის ატრა.
- ბ. მ. აბინაძი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.
- ბ. ა. ნაჰასარღიანი: 7—7 ნახ. ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შუბრი, ღარიბთათვის — უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი — მედიცინის დოქტორი ბ. ა. საგასარღიანი.

ექიმ ი. მ. ჩიქივაძის

იღებს ყოველ-ღღე 12—2 საათ. — ვორონოვის ქუჩის პირდაპირ, სახლი № 17.

გამოცემა წიგნის ძეგლისა

„კოლხიდასი“

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მალაზიებსა და იმერეთში აგრეთვე გახეთების აგენტებთან მუშების თვითგანვითარებისათვის საჭირო ერთი სახელმძღვანელო წიგნთაგანი:

„როგორ ცხოვრობდენ

ძველათ ადამიანები“

სურათებით დ. კულრაიკისა, თარგმანი ის. კვიციანიძისა. ფასი 20 კაპ. (3—8)

რედაქტორ-გამომცემელი დ. შიშიგანიანი.